

სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სამართაშორისო აკადემია
პოლიტიკური მენეჯმენტის სამართაშორისო აკადემია
იურიდიულ მეცნიერებათა სამართაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF SOCIAL-ECONOMIC SCIENCES
INTERNATIONAL ACADEMY OF POLITICAL MANAGEMENT
INTERNATIONAL ACADEMY OF JURIDICAL SCIENCES

МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК

სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები

*სამართაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის მასალები*

STATE MANAGEMENT: PROBLEMS AND PROSPECTS

*MATERIALS OF INTERNATIONAL
SCIENTIFIC CONFERENCE*

ГОСУДАРСТВЕННОЕ УПРАВЛЕНИЕ: ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ

*МАТЕРИАЛЫ МЕЖДУНАРОДНОЙ
НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ*

(15.11.2015)

თბილისი
Tbilisi Тбилиси
2015

უპკ (UDC; УДК) 1+32+33+34+35
ს-366 S-81 Г-726

სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები.
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (15.11.2015).
თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2015. – 90 გვ.

STATE MANAGEMENT: PROBLEMS AND PROSPECTS.
MATERIALS OF INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE (15.11.2015).
Tbilisi: International Publishing House “Progress”, 2015. – 90 p.

ГОСУДАРСТВЕННОЕ УПРАВЛЕНИЕ: ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ.
МАТЕРИАЛЫ МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ (15.11.2015).
Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2015. – 90 с.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:
ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – თავმჯდომარე
ირაკლი გაბისონია (თბილისი, საქართველო) – წევრი
ანზორ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – წევრი
ვალერი ბაკუმენკო (კიევი, უკრაინა) – წევრი
სლავომირ პარტიცკი (ლუბლინი, პოლონეთი) – წევრი

ORGANIZATION COMMITTEE OF THE CONFERENCE:
ALFRED KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – CHAIRMAN
IRAKLI GABISONIA (TBILISI, GEORGIA) – MEMBER
ANZOR KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – MEMBER
VALERI BAKUMENKO (KIEV, UKRAINE) – MEMBER
SLAWOMIR PARTYCKI (LUBLIN, POLAND) – MEMBER

ОРГАНИЗАЦИОННЫЙ КОМИТЕТ КОНФЕРЕНЦИИ:
АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА
ИРАКЛИЙ ГАБИСОНИЯ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ЧЛЕН КОМИТЕТА
АНЗОР КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ЧЛЕН КОМИТЕТА
ВАЛЕРИЙ БАКУМЕНКО (КИЕВ, УКРАИНА) – ЧЛЕН КОМИТЕТА
СЛАВОМИР ПАРТЫЦКИЙ (ЛЮБЛИН, ПОЛЬША) – ЧЛЕН КОМИТЕТА

სამეცნიერო რედაქტორი – ალფრედ კურატაშვილი
SCIENTIFIC EDITER – ALFRED KURATASHVILI
НАУЧНЫЙ РЕДАКТОР – АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ

რეცენზენტები:
მიხეილ როკეტლიშვილი (ნიუ-იორკი, აშშ) – მეცნ. დოქტორი, პროფ., აკადემიკოსი
ვალერი სელივანოვი (სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი) – მეცნ. დოქტორი, პროფ., აკადემიკოსი

REVIEWERS:
MIKHAIL ROKETLISHVILI (NEW YORK, USA) – DOCTOR OF SC., PROFESSOR, ACADEMICIAN
VALERI SELIVANOV (ST. PETERSBURG, RUSSIA) – DOKTOR OF SC., PROF., ACADEMICIAN

РЕЦЕНЗЕНТЫ:
МИХАИЛ РОКЕТЛИШВИЛИ (НЬЮ-ЙОРК, США) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК
ВАЛЕРИЙ СЕЛИВАНОВ (САНКТ-ПЕТЕРБУРГ, РОССИЯ) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК

© ალფრედ ანზორის ძე კურატაშვილი, 2015
ALFRED A. KURATASHVILI, 2015
АЛЬФРЕД АНЗОРОВИЧ КУРАТАШВИЛИ, 2015

ISBN 978-9941-9337-8-3

შპს 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**მოსამართლეთა უფლებებთან
დაბალანსებული
მათი პასუხისმგებლობის გარეშე –
სახელმწიფოში**

**სამართლიანობის დამკვიდრება
ცარიელ – ცრუ – ლოზუნგად დარჩება (!)**

კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა – ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს პრონციპს წარმოადგენს, რაც ასახულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ისე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში.

ასე, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად: “ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან” [1, მუხლი 7].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არცთუ იშვიათად, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში ასახული ჭეშმარიტად სამართლიანი ნორმების საწინააღმდეგოდ და, ამავე დროს, ანტიკონსტიტუციური ნორმები ჩადებული და დაფიქსირებულია თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, რითაც აშკარად დარღვეულია ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე (!).

ამ შემთხვევაში მე შევეხები კანონის წინაშე იმ უთანასწორობის არსებობის პრობლემას, რომელიც მდგომარეობს მოსამართლეთათვის სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) კანონმსაწინააღმდეგოდ და უსამართლოდ “დაკანონებულ” უპასუხისმგებლობაში, მათ მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულისათვის (!).

* * *

სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს სასამართლო ხელისუფლებამ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეს, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებრივ თანამდებობრივ პირებს, უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მის მიერ

თავისი უფლებების გამოყენებაზე – სასამართლო ხელისუფლება პასუხს უნდა აგებდეს თავისი მოღვაწეობის შედეგებზე, ის პასუხს უნდა აგებდეს თავის დანაშაულებრივ ქმედებებზე – მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლის არაერთი ფაქტიც არსებობს, და რაც მოსამართლის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების აშკარა გადაშეცდვას და მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ანუ მოსამართლის მხრიდან სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს, რაზედაც მას პასუხი საერთოდ არ მოეთხოვება (?!).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოებში მოღვაწეობს მრავალი ღირსეული – კომპეტენტური, პრინციპული და სამართლიანი – მოსამართლე, რომელიც არავისთვის, არაფრისთვის და არავის ზეგავლენით არ მიიღებს კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – გადაწყვეტილებას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გადაამეტებს თავის სამსახურებრივ (თანამდებობრივ) უფლებამოსილებას, რისთვისაც ის მხოლოდ მაღლობას იმსახურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მოსამართლე ასეთი არ არის (?!).

სასამართლო ხელისუფლების – მოსამართლის – უფლებებთან დაბალანსებული მისი შესაბამისი პასუხისმგებლობის არარსებობის ერთ-ერთ აშკარა მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, რომელსაც, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, უფლება აქვს და ვალდებულიც არის, რომ მიიღოს მხოლოდ კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება, მაგრამ ზოგჯერ ეს მოსამართლე ღებულობს აშკარად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, რაც მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცდვის უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომელიც ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და კანონიერ ინტერესებს, და რაც არცთუ იშვიათად შემდგომში დასტურდება შემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების უდავო მაგალითს წარმოადგენს, მაგრამ ამისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა, რადგან „მიჩნეულია“ და „ითვლება“, რომ თითქოსდა მოსამართლეს „შეცდომის“ დაშვების (ფაქტობრივად კი, თითქოს დანაშაულის ჩადენის) უფლება აქვს, რასაც თითქოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლო „გამოასწორებს“ (?!).

უფრო მეტიც, ზოგიერთ სასამართლოში მიაჩნიათ, რომ თითქოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლო სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს „შეცდომები“, ფაქტობრივად კი, დანაშაულებრივი ქმედებები „გამოასწოროს“ (?!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

ამასთანავე, შეიძლება აღვიღო ჰქონდეს და ზოგჯერ ნამდვილად აღვიღო აქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებას სააპელაციო (მეორე ინსტანციის) სასამართლოში, და აგრეთვე საკასაციო (მესამე ინსტანციის) სასამართლოში.

თუმცა, სამწუხაროდ, ამ შემთხვევებშიც არავის – იმ მოსამართლეთაგან, რომლებიც ღებულობენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რაც სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების აშკარა გადაშეცდვას და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს, არ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მათ უფლებებთან და მოვალეობებთან – მიიღონ მხოლოდ კანონიერი, სამართლიანი გადაწყვეტილებები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აქ ის გარემოება, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფაქტობრივად წარმოადგენს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღების

აღიარებას, რაც უნდა კვალიფიცირდებოდეს სწორედ როგორც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება, როგორც მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, და, შესაბამისად, როგორც ამ მოსამართლის მიერ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღება, რაც უნდა წარმოადგენდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისათვის ბრალდების წაყენების საფუძველს და ფაქტობრივად უნდა წარმოადგენდეს საბრალდებო დასკვნასაც კი.

ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება უნდა კვალიფიცირდებოდეს როგორც ამ სახელმწიფოს ყველა ინსტანციის სასამართლოს კონკრეტული მოსამართლეების მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, და, შესაბამისად, როგორც ამ კონკრეტულ საქმეზე მათ მიერ დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა ამ შემთხვევაშიც არცერთ მოსამართლეს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (!).

უფრო მეტიც, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა კონსტიტუციები ფაქტობრივად ასრულებენ თვითონ კონსტიტუციის არსის, პრინციპებისა და დანიშნულების საწინააღმდეგოდ “დაკანონებული” ეგრეთ წოდებული “კრიმის” ფუნქციას მოსამართლეთათვის, რამეთუ სახელმწიფოთა კონსტიტუციებით ფაქტობრივად “დაკანონებულია” მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება – „დაკანონებულია” მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის დაუშვებლობა, რაც ათავისუფლებს მოსამართლეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში (!).

რას ნიშნავს ეს, თუ არა მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სახელმწიფოთა კონსტიტუციებით “დაკანონებას”?!

აბა რას ნიშნავს ეს, თუ არა მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედებისათვის მათ პასუხისმგებლობაზე სახელმწიფოთა კონსტიტუციებით “დაკანონებულ” “იმუნიტეტს” და ამით მრავალი სხვა ადამიანის დისკრიმინაციას?!

რას ნიშნავს ეს, თუ არა კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის „დაკანონებას”, როდესაც დაუშვებელია – როდესაც კონსტიტუციით აკრძალულია – მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა?!

ნუთუ შესაძლებელია, რომ სამართლებრივი საფუძველი გააჩნდეს სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირის (თანამდებობის პირების) დანაშაულებრივ ქმედებაზე (დანაშაულებრივ ქმედებებზე) კონსტიტუციურად “დაკანონებული” “იმუნიტეტის” არსებობას?!

ნუთუ შეიძლება, რომ ადამიანი იურისტად – თანაც „კონსტიტუციონალისტად“ – ითვლებოდეს (ანდა, საერთოდ, თუნდაც საშუალო განათლების მქონე გონიერ ადამიანად ითვლებოდეს) და ამავე დროს ის მხარს უჭერდეს, ან ამჩნევდეს და მაინც უყურადღებოდ – პროტესტის გარეშე – ტოვებდეს ამ კანონსაწინააღმდეგოდ, ამ უმსგავსო, თანაც კონსტიტუციურად “დაკანონებულ” დანაშაულებრივ ვითომდა „სამართლებრივ ნორმას“?!

თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ძნელია საყვედური გამოთქვა ყველა იურისტის – თუნდაც ყველა კონსტიტუციონალისტის – მიმართ, რამეთუ ხშირ შემთხვევაში მეცნიერების სფეროს წარმომადგენელი იკვლევს გარკვეულ პრობლემას, მაგრამ არ აქცევს ყურადღებას – არ უკვირდება და არ ამჩნევს სხვა პრობლემას, რომელსაც ის უშუალოდ არ იკვლევს, და რომელიც ამავე დროს ტრადიციულად პრობლემად არ ითვლება, რადგან ეს უსამართლო, მაგრამ კონსტიტუციურად “დაკანონებული” „სამართლებრივი ნორმა“ საყოველთაოდ აღიარებული და მიღებულია, მათ შორის, საერთაშორისო მასშტაბით (!).

ამასთანავე, არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეთ იმ იურისტებს – განსაკუთრებით კი კონსტიტუციონალისტებს, რომლებიც გაეცნობიან კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის კონსტიტუციურად „დაკანონების“ არსებულ ფაქტებთან და ამით მრავალი ადამიანის დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ჩემს მეცნიერულად არგუმენტირებულ კრიტიკას, და რომელი იურისტებიც, მიუხედავად ამისა, მაინც რეაგირების გარეშე დატოვებენ ამ პრობლემას.

სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ – რომ აღარაფერი ვთქვათ ამ შემთხვევაში კონსტიტუციურად „დაკანონებული“ დანაშაულის არსებობაზე, რომლის დამალვაც ასევე სისხლის სამართლის დანაშაულია, კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის და, შესაბამისად, მრავალი ადამიანის დისკრიმინაციის კონსტიტუციურად „დაკანონების“ ფაქტების არსებობა, განსაკუთრებით ცივილიზებულიობაზე პრეტენზიების მქონე სახელმწიფოებისთვის, გასაკვირია, მაგრამ უდავო ფაქტია (?).

ნუთუ არ ესმით „ცივილიზებულ“ სახელმწიფოებში მაინც, ანდა ნუთუ სულ დაავიწყდათ ეგრეთ წოდებულ „კონსტიტუციონალისტებს“, რომლებიც კონსტიტუციის შექმნაზე, თუ მასში ცვლილებების შეტანაზე მუშაობდნენ და/ან მუშაობენ, რომ ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია?!

ეს – ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე – ხომ სამართლიანობის ელემენტარული მოთხოვნა და ანბანური ჭეშმარიტებაა, რომელიც თითქოსდა ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, მაგრამ...?!

ნუთუ ამას ნიშნავს „კონსტიტუციონალისტი“?!

ნუთუ „კონსტიტუციონალისტების“ ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან სათანადო გააზრების გარეშე – ბრმად – გადმოიწერონ თავისი სახელმწიფოს კონსტიტუციაში ადამიანების უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების შემლახავი ანტისამართლებრივი „ნორმები“?!

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ისმის კითხვა:

ნუთუ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ამჟამადაც უყურადღებოდ და უცვლელად დატოვებს ადამიანთა კონსტიტუციურად „დაკანონებულ“ უთანასწორობას კანონის წინაშე?!

ნუთუ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ამჟამადაც „ვერ შეამჩნევს“ საქართველოს კონსტიტუციაში არსებულ დანაშაულებრივ ვითომდა „სამართლებრივ ნორმებს“?!

ნუთუ სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე „დაკანონებული“ „იმუნიტეტის“ არსებობა, და ამით მილიონობით ადამიანების დისკრიმინაცია, არ არის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) მე-14 მუხლით გათვალისწინებული – „დისკრიმინაციის აკრძალვის“ [2] საწინააღმდეგო ქმედება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან?!

ნუთუ ეს არის ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, როდესაც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს გააჩნიათ „იმუნიტეტი“ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რაც ამავე დროს მილიონობით ადამიანების კონსტიტუციურად „დაკანონებული“ დისკრიმინაციის უდავო მაგალითს წარმოადგენს?!

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანობის დამკვიდრებისა და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედებისათვის აუცილებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან (ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან) ამოღებული იქნეს „სამართლებრივი“, ხოლო, უფრო სწორად თუ ვიტყვი, ანტისამართლებრივი ნორმები, რომლებითაც კონსტიტუცია (სახელმწიფოთა

კონსტიტუციები) მფარველობს მოსამართლეთა დანაშაულებრივ ქმედებებს, და რომლებითაც აკრძალულია მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში [3] უნდა დარჩეს მხოლოდ სიტყვები: “მოსამართლე ხელშეუხებელია“, და ისიც უნდა დარჩეს *გარკვეული დაზუსტებით*, ხოლო სიტყვები: „დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა“, და ყველაფერი დანარჩენი ამოღებული უნდა იქნეს ამ პუნქტიდან.

ამასთან, სიტყვები: “მოსამართლე ხელშეუხებელია“, უნდა დაზუსტდეს შემდეგი სიტყვებით: „მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტი [3] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მოსამართლე ხელშეუხებელია მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციაში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შეტანით მოიხსნება გარკვეული – *თუმცა კი კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ კონსტიტუციურად დაკანონებული* – წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა დაცვის გზაზე, მოიხსნება წინააღმდეგობა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დამკვიდრების გზაზე.

კერძოდ, ამ შემთხვევაში მოიხსნება წინააღმდეგობა თანასწორობის დამკვიდრების გზაზე, ერთი მხრივ, მოსამართლეებს – როგორც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს – შორის, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ, და ამით გარკვეულწილად დაძლეული იქნება მილიონობით ადამიანის დისკრიმინაცია.

თუმცა მოსამართლეების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს არა მარტო საქართველოს კონსტიტუციაში (და, საერთოდ, არა მარტო სახელმწიფოთა კონსტიტუციებში), არამედ აგრეთვე საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ [4].

ამ კანონიდან [4] – კერძოდ კი მე-40 მუხლის პირველი პუნქტიდან, და აგრეთვე მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან – ამოღებული უნდა იქნეს ის „სამართლებრივი ნორმები“, რომლებითაც აკრძალულია მოსამართლეთა მიცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, რათა დაძლეულ იქნეს „დაკანონებული“ უსამართლობა და მოსამართლეებს პასუხი მოეთხოვოთ კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში შეტანილი უნდა იქნეს ისეთივე ცვლილებები, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში, და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი [4] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მოსამართლე ხელშეუხებელია მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

რაც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს, ამ პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნეს ბოლო წინადადება, ანუ ამოღებული უნდა იქნეს შემდეგი სიტყვები: „არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [4], ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებული უნდა იქნეს 84-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: „არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [3].

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან აღნიშნული სიტყვების ამოღების აუცილებლობა, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის ამოღების აუცილებლობა, განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე – როგორც სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირი – უნდა ემსახურებოდეს ხალხს და ანგარიშვალდებული უნდა იყოს მის წინაშე ყოველ კონკრეტულ საქმეზე, რამეთუ სწორედ ხალხის ხარჯზე ცხოვრობს და სწორედ ხალხის ხარჯზე ღებულობს მოსამართლე ყველაზე მაღალ ხელფასს, ხოლო, როგორც ცნობილია: „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვებავს“!!!

გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების ბოლოს, სიტყვები „...თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით – „...თავისი შინაგანი რწმენის გათვალისწინებით“, რომლის შემდეგ უნდა დაისვას მძიმე და უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები: „რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სხვა სამართლიან კანონებს“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე მკითხავი არ არის და სრულიად დაუშვებელია, რომ მან გადაწყვეტილება მიიღოს თავისი საკუთარი დაუსაბუთებელი „მოსაზრებების“ და „თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“.

ამიტომ, თუმცა მოსამართლემ შეიძლება გაითვალისწინოს და კიდევაც უნდა გაითვალისწინოს თავისი შინაგანი რწმენა, მაგრამ ყველა მოსამართლეს კარგად უნდა ესმოდეს, რომ მან თავისი შინაგანი რწმენა შეიძლება გაითვალისწინოს მხოლოდ კანონის ფარგლებში, ანუ მოსამართლემ თავისი შინაგანი რწმენით შეიძლება მიიღოს და უნდა მიიღოს არა კანონსწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება, არამედ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ კონსტიტუციის და კანონის ფარგლებში.

ამრიგად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი [4] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სხვა სამართლიან კანონებს“.

ამასთანავე, ჩემი ღრმა რწმენით, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე – ღმერთი კი არ არის, არამედ ისიც ადამიანია, რომელიც (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი) შეიძლება ცდებოდეს.

ხოლო ზოგიერთი მოსამართლე ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განზრახაც კი „ცდებოდეს“ (!!).

ზემოაღნიშნული აუცილებლად მოითხოვს, ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [5] შესაბამისად, მოსამართლეების მიმართ შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედებას, და აგრეთვე ახალი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას და დანერგვას სახელმწიფოთა კონსტიტუციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის დონეზე.

სასამართლო პრაქტიკაში არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც მოსამართლე ვერანაირად ვერ გარკვეულა – ვერ ერკვევა (ანდა თითქოსდა ვერ ერკვევა) სამართლებრივი თვალსაზრისით უმარტივეს სადავო პრობლემაში, რომელიც არა მარტო იურისტისათვის,

არამედ ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის იმდენად ხელოვნურად მოსჩანს, რომ სადავოც კი არაფერია, და, მიუხედავად ამისა, სრულიად უსაფუძვლო ვითომდა “არგუმენტებზე” – *ფაქტობრივად კი ჭორებზე* – დაყრდნობით, ის – მოსამართლე – აშკარად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ღებულობს, რაც მოსამართლეს არ უნდა ათავისუფლებდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას უნდა დაეკისროს – მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის.

უფრო მეტიც, საერთო სასამართლოების მოსამართლეებს უნდა დაეკისროთ არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე – *მათ მიერ მიღებულ ყოველ კონკრეტულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე*, არამედ მოსამართლეებს უნდა ეკისრებოდეთ აგრეთვე პასუხისმგებლობა მათი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების შედეგად დაზარალებული პირის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, რაც სათანადოდ უნდა იქნეს ასახული კანონმდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ, *როგორც ზემოთაც გამახვილდა ამაზე ყურადღება*, თუმცა მოსამართლე მართლაც ხელშეუხებელი უნდა იყოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისას – *არავის არ უნდა ჰქონდეს მასზე ზეგავლენის მოხდენის უფლება და შესაძლებლობა*, მაგრამ მოსამართლე არ უნდა იყოს თავისუფალი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის – მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის და ა. შ., *ანუ* მოსამართლე არ უნდა იყოს თავისუფალი მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის.

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის ამკრძალავი “სამართლებრივი ნორმის” ამოღება საქართველოს კონსტიტუციიდან აამოქმედებს მოსამართლეების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს [6, მუხლი 332, 333], რაც კანონის მიმართ თანასწორ პირობებში ჩააყენებს მოსამართლეებს და ჩვეულებრივ ადამიანებს, *ანუ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ*.

რაც შეეხება იმას, რომ თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, მაგრამ მოსამართლე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში და ა. შ. მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, ეს სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – და ალოგიკური ნორმაა (?!).

ზემოაღნიშნული “სამართლებრივი ნორმის” კონსტიტუციიდან ამოღების აუცილებლობა უდავოა, რამეთუ უმთავრესი ის არის, რომ თუ მოსამართლემ გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, თუ მან ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, მაშინ ამ მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემას არავისი ნებართვა – თანხმობა – არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ამით ირღვევა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციურად დაკანონებული და საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმა, რითაც ამ შემთხვევაში ხდება კრიმინალი მოსამართლის სრულიად უსაფუძვლო „გამართლება“ ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გარეშე, და რითაც ხდება მოსამართლის მიერ მომავალში ახალი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის წახალისება (?!).

ამრიგად, ყოველად გაუმართლებელია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს (*მიუხედავად მისი სამართლიანობისა, კომპეტენტურობისა და ა. შ.*) უფლება ჰქონდეს დაარღვიოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე და მან განსაზღვროს – დაუშვას

თუ არა კრიმინალი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემა, რადგან არცერთ კრიმინალს, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მღვთმარეობისა, კონსტიტუციით „დაკანონებული“ ეგრეთ წოდებული „კრიშა“ არ უნდა იცავდეს, რამეთუ ეს აშკარად „დაკანონებული“ უკანონობა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (!).

ცხადია, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მოსამართლე უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, ხოლო თუნდაც მისი „შინაგანი რწმენით“ (!) კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის – მას უნდა ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რის გარეშეც სახელმწიფოში სამართლიანობა მხოლოდ ხალხის მოსატყუებელ ცრუ ლოზუნგად დარჩება.

აქ სამართლიანად და ლოგიკურად ისმის კითხვა:

ვინ მისცა სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც ხალხს უნდა ემსახურობდეს, იმის უფლება, რომ კონსტიტუციურად „დააკანონოს“ ადამიანების უთანასწორობა კანონის წინაშე, რომ მოსამართლეები – სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები – „იმუნიტეტის“ საშუალებით „დმერთებად“ გამოაცხადოს, რომლებსაც ყველაფრის უფლება ეძლევათ და, ამავე დროს, რომლებსაც არავითარი პასუხი არ მოეთხოვებათ თავის კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ, აშკარად კრიმინალურ – ქმედებებზე, რომლებსაც არავითარი პასუხი არ მოეთხოვებათ მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებაზე, და რომ ამით ხალხის – მილიონობით ადამიანის (რომლებიც თანამდებობის პირები არ არიან და პასუხს აგებენ თავის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე) – დისკრიმინაცია „დააკანონოს“?!

ნუთუ თავისი დანაშაულებრივი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეთ იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც სახელმწიფოთა კონსტიტუციებით „დააკანონეს“ ადამიანების ზემოაღნიშნული უთანასწორობა კანონის წინაშე, რამაც მილიონობით ადამიანის დისკრიმინაცია გამოიწვია?!

უდავოა, რომ ნებისმიერ უდანაშაულო ადამიანს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ „იმუნიტეტი“ სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემაზე, მაგრამ დანაშაულებრივ ქმედებაზე არავის და, მათ შორის, არც მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს არავითარი „იმუნიტეტი“, რამეთუ ამ შემთხვევაში „იმუნიტეტი“ არის ადამიანების კონსტიტუციურად „დაკანონებული“ უთანასწორობა კანონის წინაშე და მრავალი ადამიანის დისკრიმინაცია, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (!).

ამრიგად, ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების მიმართ, ისევე, როგორც საერთოდ სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირთა მიმართ, აუცილებლად უნდა დაინერგოს და ამოქმედდეს იურიდიული პასუხისმგებლობის მექანიზმები, რათა მოსამართლეს კანონით ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნება მის უფლებებთან და მოვალეობებთან, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოში სამართლიანობაზე და კანონის წინაშე ადამიანების თანასწორობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თითქოსდა მოსამართლეების დანაშაულებრივი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაცვის („იმუნიტეტის“) კონსტიტუციით „დაკანონება“ შეიძლება გამართლებული იქნეს უცხოეთის სახელმწიფოებისათვის – ეგრეთ წოდებული ცივილიზებული სამყაროსათვის – მიბაძვით (!), ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია გამახვილდეს ყურადღება შემდეგზე:

ჯერ-ერთი, აღნიშნულ პრობლემაზე საზღვარგარეთის სახელმწიფოების კონსტიტუციებში არსებული "სამართლებრივი ნორმების" არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ეს ნორმები სამართლიანია და სამართლებრივად სწორია თვითონ იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა კონსტიტუციებშიც ასახულია ეს ნორმები;

და, მეორეც, საერთოდ უცხოეთის სახელმწიფოების მიბაძვასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ილია ჭავჭავაძის *სიტყვები, რომელიც აღნიშნავდა, რომ პროგრესული მოძღვრების გავლენამ მხოლოდ იმ მკვლევარს შეიძლება მოუტანოს სარგებლობა, "ვინც ყოველი დასკვნა გაატარა თავისი კრიტიკის ქარცეცხლში და არ მიიღო და არ ირწმუნა ის ბრმად"* [7, გვ. 39-40].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მით უმეტეს ყოვლად გაუმართლებელია, როდესაც ბრმად ვექცევით უცხოეთის სახელმწიფოების არა პროგრესული მოძღვრების გავლენის ქვეშ, არამედ როდესაც ვბაძავთ ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებში ასახულ ისეთ უსამართლო ვითომდა "სამართლებრივ" ნორმებს, რომლებითაც ილახება მილიონობით ადამიანის უფლებები, რამეთუ ამ ეგრეთ წოდებული "სამართლებრივი" ნორმებით უხეშად ირღვევა ადამიანების საყოველთაოდ აღიარებული თანასწორობა კანონის წინაშე (!).

ამრიგად, სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლიანობის დამკვიდრება მოითხოვს – არა უცხოეთის სახელმწიფოების კონსტიტუციებისადმი ბრმად მიბაძვას, არამედ მოითხოვს იმას, რომ ყველა ადამიანის კანონიერი უფლებები, თავისუფლებები და ინტერესები იქნეს დაცული, ხოლო ყველა დამნაშავე პირი, რომლის ქმედებები იწვევს ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების შელახვას, უდავოდ იქნეს დასჯილი!!!

მაშასადამე, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სამართლიანობის დამკვიდრება სამართლიანად და სამართლებრივად მოხდეს, რამეთუ სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, რომ კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად ყველა ადამიანი და, მათ შორის, ყველა მოსამართლე, კანონის წინაშე თანასწორია!!!

სწორედ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციური [3, მუხლი 14] და ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნა აუცილებელს ხდის თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში რადიკალური ცვლილებების შეტანას იმ თვალსაზრისით, რომ კონსტიტუციურად ნამდვილად უზრუნველყოფილი იყოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე!!!

სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ზემოაღნიშნული რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა – სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა!!!

შესაბამისად, უდავოა, რომ სახელმწიფო – *საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო* – ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დასმული პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრა, რათა დაცული იქნეს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, და რათა სამართლიანობა ცარიელ ლოზუნგად – ცრუ ლოზუნგად – არ დარჩეს!!!

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ უდავოდ ადასტურებს, რომ ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია [5] და ამ თეორიის საფუძველზე სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთდაბალანსება არის სოციალური სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის [8] რეალიზაციის აუცილებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველი.

თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია ამავე დროს არის პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელიც საზოგადოების,

სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა “სამშობლო”, 1992.
http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.
<http://www.parliament.ge/files/international-acts/conventions/3250-Is-09-06-2006.doc>
3. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
4. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257 – II ს.
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf
5. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf
7. Шадур В. Ленинградский университет и деятели грузинской культуры. Тбилиси: Издательство «Мерани», 1968.
8. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

შპპ 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**მოსამართლეთა
უვადოდ დანიშვნა –
კონსტიტუციურად “დაკანონებული”
ანტიკონსტიტუციური
ქმედებაა... (!)**

მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ დანიშვნა კონსტიტუციურად “დაკანონებული” ანტიკონსტიტუციური ქმედებაა, რამეთუ ეს არის, *ჯერ-ერთი*, ცივილიზებულ მსოფლიოში აღიარებული – ყველა ადამიანის კანონის წინაშე კონსტიტუციური თანასწორობის [1, მუხლი 14] უგულბებლყოფის უდავო მაგალითი, და, *მეორეც*, ეს არის მოსამართლეთა სრულიად უსაფუძვლო „გაღმერთების“ დანაშაულებრივი ქმედება. (!).

* * *

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, 2010 წელს, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვისას მე ვწერდი:

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის მიხედვით საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები გათვალისწინებულია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ გამწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის გამწესება განსაზღვრული ვადით, არაუმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის,

თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით“.

კანონპროექტის მიხედვით საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის პირველ პუნქტში ყურადღებას იმსახურებს 30 წლის ასაკი, რომლიდანაც საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს მოსამართლე.

ამასთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ *ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება 30 წლის ასაკის და უფრო ახალგაზრდა მოსამართლემაც კი გაამართლოს*, მაგრამ საერთოდ მოსამართლეობისათვის სიბრძნეა საჭირო, ხოლო სიბრძნე ბუნებრივი გონიერებისა და სათანადო განათლების გარდა მოითხოვს სერიოზულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რაც წლებთან ერთად მოდის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე მხოლოდ 35 წლის ასაკიდან, რამეთუ ახალგაზრდა ადამიანი – ”მაჭარია”, ხოლო სიბრძნეს – ”დაღვინება” სჭირდება.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის პირველი პუნქტი მიზანშეწონილად მიმაჩნია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება” *.

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მეორე პუნქტის რედაქციას, რომელიც კანონპროექტშია შემოთავაზებული, აქ, ჩემი ღრმა რწმენით, ფრიად სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

კერძოდ, კანონპროექტის თანახმად ”მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება უვადოდ”, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, სრულიად დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ-ერთი, რატომ უნდა დაინიშნოს მოსამართლე უვადოდ, მაშინ როდესაც, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის არჩევა (ისევე როგორც უცხოეთის მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციების მიხედვით) ხდება მხოლოდ 5 წლის ვადით, რაც სრულიად ნორმალურია.

*მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, გარდა 5 წლის ვადით არჩევისა, მას ეკრძალება ზედიზედ არჩეულ იქნეს პრეზიდენტად ორჯერზე მეტად (იმის ანალოგიურად, როგორც ეს უცხოეთის სახელმწიფოებში ხდება), ანუ ორჯერ არჩევის შემდეგ იგივე პირს არჩევნებში მონაწილეობაც კი ეკრძალება***, ხოლო მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებას კანონპროექტით გვთავაზობენ უვადოდ (!).

საკვირველია, მაგრამ ფაქტია (!).

* მიმაჩნია, რომ აღნიშნული წინადადება მომავალში მაინც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

** რაც ცალკე განსახილველ პრობლემას წარმოადგენს და რაზედაც ჩემს მიერ გაცემულია ამომწურავი პასუხი ამავე სამეცნიერო ნაშრომში [2, გვ. 64-74].

მეორეც, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: მაშ რატომ უნდა ხდებოდეს მოსამართლის თანამდებობაზე გამწვანება უვადოდ?!

გასაგებია, რომ აქ იგულისხმება სასამართლო ხელისუფლებისათვის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების შექმნა, როგორც ეს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მაგრამ რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ზოგიერთი მოსამართლე ამ დამოუკიდებლობას კორუფციის მიზნებისათვის უფრო “კარგად” არ გამოიყენებს?!

მესამეც, დავუშვათ, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ მოსამართლის თანამდებობაზე გამწვანდა უვადოდ ან დანიშნული აღმოჩნდა (დანიშნულად ჩაითვა) უვადოდ ყველა მოსამართლე (ამასთან ვიგულისხმობთ, რომ ყველა მოსამართლე არის პატიოსანი და კომპეტენტური), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მოსამართლეებს (თუ ისინი ახალგაზრდები არიან) თანამდებობები უნდა ეკავოთ დაახლოებით 30-40 წლის განმავლობაში (?!).

ამასთანავე, დავუშვათ, რომ 5 ან 10 წლის შემდეგ მოვიდა იურისტების ახალი თაობა, რომლებიც არა მარტო უდავოდ პატიოსნები არიან, არამედ ხშირ შემთხვევაში არიან აგრეთვე ბევრად უფრო განათლებულები და კომპეტენტურები, ვიდრე ეს უვადო მოსამართლეები.

რა ქნან მათ – ამ ახალგაზრდა ღირსეულმა იურისტებმა?!

ნუთუ უნდა ელოდონ მანამ, სანამ დაბერდებიან და დაჩაჩანაკდებიან ძველი მოსამართლეები?!

შექმნილი (მოსალოდნელი) სიტუაციიდან გამომდინარე, ჩემი ღრმა რწმენით, ბევრად უფრო სამართლიანი და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უკეთესი იქნება, თუ, მაგალითად, ყოველ 4 ან 5 წელიწადში ერთხელ მოეწყო კონკურსები მოსამართლეების თანამდებობების დასაკავებლად, რათა ყველაზე ღირსეულმა – საუკეთესო პიროვნებებმა დაიკავეთ ეს თანამდებობები.

ამასთან, არ უნდა შეეზღუდოთ კონკურსში მონაწილეობის უფლება იმათ, ვინც რამოდენიმეჯერ უკვე იყო არჩეული (ან დანიშნული) მოსამართლედ, რადგან საუკეთესო – სწორედ კონკურსმა უნდა გამოავლინოს.

ხალხის ინტერესების უზენაესობიდან გამომდინარე, რომლის რეალიზაციასაც უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს კონსტიტუცია, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მეორე პუნქტში” [2, გვ. 31-35].

* * *

ჩემი ზემოაღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი [2], რომელიც გამოქვეყნდა 2010 წელს, ჯერ კიდევ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანამდე, გამოცემისთანავე გადაეცა საქართველოს მაშინდელ

უმაღლეს ხელმძღვანელობას, მასში ასახული ჩემი პრინციპულად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინების მიზნით, მაგრამ ამაოდ (!!).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იძულებული ვარ დავუბრუნდე მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ დანიშვნის პრობლემას, რამეთუ მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ დანიშვნა, როგორც უკვე აღვნიშნე, კონსტიტუციურად “დაკანონებული” ანტიკონსტიტუციური ქმედებაა, რამეთუ ეს არის, ჯერ-ერთი, ცივილიზებულ მსოფლიოში აღიარებული – ყველა ადამიანის კანონის წინაშე კონსტიტუციური თანასწორობის [1, მუხლი 14] უგულებელყოფის მაგალითი, და, მეორეც, ეს არის მოსამართლეთა სრულიად უსაფუძვლო „გაღმერთების“ დანაშაულებრივი ქმედება. (!!).

და ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როდესაც არა პროექტის, არამედ უკვე საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად [1] მოსამართლე გამწესდება უვადოდ (!!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (!!).

ნუთუ ვერ აცნობიერებენ – ნუთუ არ ესმით – ამ სრულიად უსამართლო ვითომდა ”სამართლებრივი ნორმის” ავტორებს და მხარდამჭერებს, რომ თანამდებობებზე მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა – კონსტიტუციურად “დაკანონებული” ანტიკონსტიტუციური ქმედებაა (!!).

ნუთუ შეიძლება, რომ აღნიშნული ”სამართლებრივი ნორმის” ავტორები და მხარდამჭერები იურისტებად ჩაითვალოს (!!).

ნუთუ სამარცხვინო არ არის, როდესაც ნაცვლად სამართლიანობის დამკვიდრებისა, სხვათა სრულიად უსამართლო და უსაფუძვლო დანაშაულებრივ ვითომდა ”იდეებს” მხარს უჭერენ და თუთიყუშებივით იმეორებენ (!!).

აღნიშნული პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრის მიზნით, საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებული იქნეს 86-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება უვადოდ.

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

2. კურატაშვილი ალფრედ. **რა ცვლილებებია აუცილებელი საქართველოს კონსტიტუციაში და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციაში?!** „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა. თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2010. – 84 გვ.

შპპ 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**„ჭეშმარიტი მცნიერი
არის მხოლოდ ის, ვისთან ერთადაც
მისი სამეცნიერო ნაშრომები –
მისი უმომქმედება –
არ კვდება“***

**მეცნიერთა მომზადებას
მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერები
უნდა ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ... (!?)**

წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე სრულიად აშკარა და უდავოა, რომ ის, ვისაც არ შეუქმნია ჭეშმარიტი სამეცნიერო შრომები – სამეცნიერო შრომები, რომლებიც იცოცხლებენ მის გარეშეც – მისი ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც, *ანუ ის, ვისაც არ შეუქმნია რევოლუციურად ახალი მეცნიერული მიმართულებები, რევოლუციურად ახალი მეცნიერული თეორიები და ა.შ.*, არ უნდა იწოდებოდეს მეცნიერად, რამეთუ ის არის მხოლოდ მუშაკი – *უკეთეს შემთხვევაში, ის არის მხოლოდ დამხმარე მუშაკი* – მეცნიერებაში.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ, როგორც მე *ჯერ კიდევ 1984 წელს* ვწერდი: “ვისაც არა აქვს თავისი საკუთარი, მეცნიერებისა და საზოგადოების პროგრესის ხელის შემწყობი იდეები – მას არაფერი ესაქმება მეცნიერებაში” [2, გვ. 12].

Однако необходимо отметить, что Китай все еще является развивающейся страной с тяжелыми и многочисленными задачами для развития. Тем не менее Китай пытается соблюдать обязательства по развитию в соответствии со своей национальной ситуацией. Последнее время наблюдается углубление сотрудничества Юг-Юг. Китай активно представляет интересы и участвует в международных кооперациях развития, предоставляя экономическую и техническую помощь, по возможности, другим развивающимся странам, особенно странам с низким уровнем развития в рамках сотрудничества

«Юг-Юг», помогая им больше участвовать в обсуждении мировых вопросов, адаптации их к процессу глобализации, улучшая уровень жизни населения и поддерживая их экономическое и социальное развитие посредством роста инфраструктурного строительства, предоставляя нулевой тарифный режим. С 1.01.2014 г. Китай наложил такой нулевой тарифный режим на 95% тарифных позиций из 35 стран с самым низким уровнем развития, имеющих дипломатические договоренности с Китаем. В марта 2014 р. XI Президент Цзиньпин объявил на Переговорном форуме лидеров БРИКС - Африки, что целью Китая к началу 2015 г. является достижение нулевого тарифного режима на уровне 97% тарифных позиций экспорта, который идет в КНР из стран с наименьшим уровнем развития и которые имеют дипломатические договоренности с Китаем. Указанное внедрение соглашений о нулевом тарифе коснулось экспорта из стран в Китай с 1.07.2010 г., имеющих низкий уровень развития. Благодаря договоренностям о нулевом тарифе для стран с низким уровнем развития, 26 стран – бенефициаров экспортировали товаров на сумму 2,25 млрд. дол. США в результате освобождения от уплаты тарифной ставки на сумму 1,34 млрд. юаней по состоянию на апрель 2013 г. За пять последних лет Китай стал крупнейшим рынком для экспорта продуктов из наименее развитых стран; данный экспорт в Китай составил примерно ¼ общего экспорта этой группы стран. Выражая свою привязанность, Китай надеется, что другие развивающиеся страны и развитые страны присоединятся к улучшению доступа развития к рынку стран с самым низким уровнем. Для этого Китай постоянно перечисляет средства в Глобальный трастовый фонд, который является частью Дохийской программы.

Кроме того, Китай является наблюдателем в Соглашении о многосторонней торговле в гражданской авиации и участником Соглашения о Технологической информации (ИТА). В рамках ВТО Китай принимает участие в следующих группах: страны-члены, страны, недавно присоединились к участникам (RAMs), G-20, G-33 и «W52» спонсоры.

Таким образом, присоединение КНР к глобальной торговой системе ВТО в 2001г. привело к динамичному ускорению рыночных реформ в стране и ее стремительному экономическому росту.

Список использованных источников

1. **Trade Policy Reviews** [Электронный ресурс]. – Режим доступа: https://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tpr_e.htm
2. **Актуальні засади формування стратегічного партнерства України і КНР** [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://old.niss.gov.ua/Table/01092010/0901_dopov.pdf
3. **Геополітична ситуація Китаю. КНР** [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.geograf.com.ua/geoinfocentre/23-countries-styding-tourism/289-geopolitychna-sytuatsiya-kytau>
4. **Звіт Секретаріату СОТ про торговельний режим Китаю від 7.10.2014 р. № WT/TPR/S/300/Rev.1.** [Электронный ресурс]. – Режим доступа: www.wto.org
5. **Огляд торгового режиму Китаю, підготовлений Органом огляду торгових режимів СОТ від 27.05.2014 р. № WT/TPR/G/300.** [Электронный ресурс]. – Режим доступа: www.wto.org
6. **Інформація по країні.** [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://uk.wikipedia.org/wiki/Китайська_Народна_Республіка
7. **Trade Policy Review of China. International Centre for Trade and sustainable development.** [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.ictsd.org/bridges-news/мости/news/обзор-торговой-политики-китая>

Наталия Николаевна Грущинская (Киев, Украина)

Доктор экономических наук, профессор кафедры международной экономики и экономической дипломатии Дипломатической академии Украины при Министерстве иностранных дел Украины

ГЕОСПЕЦИАЛИЗАЦИЯ: ОСОБЕННОСТИ В СОВРЕМЕННОМ ГЛОБАЛЬНОМ ПРОСТРАНСТВЕ

Взаимосвязанность международной специализации с геополитическими процессами является характерным признаком современных мировых процессов.

В таком контексте, геоспециализация может рассматриваться в двух направлениях своей реализации по отношению к странам: страны, на которых влияет геоспециализация (*passivus*) – пассивные и страны, которые влияют на геоспециализацию других стран (*activus*) - активные.

Например, как ответить на вопрос: что определяет направления специализации США? Насколько геополитика влияет на выбор специализации страны? Скорее наоборот, структура специализации США обуславливает ее геополитический вектор. Взаимодополняемость и гармоничность геополитики, геоэкономики и международной специализации – показатели успешных экономик и политик стран.

Геоспециализация представляет собой сочетание понятий специализации и геоэкономики; понятие, которое характерно для современного периода мировых процессов, для которых характерны широкие глобальные, инновационные, информационные, технологические особенности.

Исходя из таких характеристик, геоспециализация – это международная специализация национальной экономики, которая переделывается геоэкономическими и геополитическими влияниями.

Также, геоспециализация обуславливается интеграционной принадлежностью, политической ситуацией на внутреннем и внешнем рынках, зависит от географического расположения, а соответственно от уровня сотрудничества со странами – соседями, который, в свою очередь, определяется их внешней политикой.

Технологические трансформации современных глобальных процессов обуславливают значительные изменения в структурах международной специализации каждой национальной экономики, в том числе и Украины.

Особое значение для определения национальной экономики в современных мирохозяйственных процессах приобретают инновационные, информационные, технологические трансформации глобальных процессов и их влияние на национальные экономики.

Современные разграничения стран мира обуславливается международным разделением труда; постоянными нарушениями равновесия мирового хозяйства, поиском эффективных технологий и способов производства, которые позволяют улучшать условия жизни людей.

მინდია ოკუჯავა (თბილისი, საქართველო)

სამართლის დოქტორი, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

**საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებათა
ზოგიერთი თავისებურება
საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით**

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში 2010 წელს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლება გადავიდა მთავრობის ხელში, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშგაღებული და პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. წარსულში პრეზიდენტის ინსტიტუტისათვის მიკუთვნებული ვრცელი უფლებამოსილებების არსებითად შეზღუდვის საფუძველზე, ძირითადად გაძლიერებულ იქნა საქართველოს მთავრობა. ამ მიმართულებით გვინდა განვიხილოთ საქართველოს მთავრობის ზოგიერთი უფლებამოსილება სამართალშემოქმედების სფეროში. სამართალშემოქმედების სფეროში საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებათა ზრდის ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთება საქართველოს კონსტიტუციითა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ურთიერთშედარების საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მთავრობა კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი [1, გვ. 17].

საქართველოს მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომელსაც ის იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი საკითხი მოწესრიგებული არ არის საქართველოს საკანონმდებლო აქტით (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკითხი განეკუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას) და მისი მიღება გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით. ასეთ შემთხვევაში მთავრობა ვალდებულია არაუგვიანეს 1 თვისა საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს საკანონმდებლო აქტის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის ან სხვა ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ შესაბამის საკითხზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების/გამოცემის უფლებამოსილება. თუ საქართველოს პარლამენტი შესაბამის კანონპროექტს არ მიიღებს მისი წარდგენიდან 3 თვის ვადაში, საქართველოს მთავრობის დადგენილება ძალადაკარგულად ითვლება. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობას აღარ აქვს უფლება, იმავე საკითხზე მიიღოს დადგენილება [2, გვ. 5].

ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია არა მხოლოდ ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობა ნებისმიერ კანონით განუსაზღვრელ შემთხვევაში გამოსცემს ნორმატიული აქტს, არამედ ის, რომ მთავრობა უკვე ერთგვარი პრეცედენტული სამართლის შემოქმედის როლში გვევლინება.

აღსანიშნავია, რომ ამ სახის ვრცელი უფლებამოსილებით არ არიან აღჭურვილნი არც ფართო საკანონმდებლო უფლებების მქონე მთავრობები, არც სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტები. მაგალითად საფრანგეთის კონსტიტუციის თანახმად, მთავრობას შეუძლია თავისი პროგრამის შესასრულებლად პარლამენტს მიმართოს, რათა შეზღუდული ვადის განმავლობაში, ორდონანსების გამოცემის გზით განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ჩვეულებრივ განეკუთვნება საკანონმდებლო სფეროს [3, გვ. 585].

ამასთან, ორდონანსებს გამოსცემს მინისტრთა საბჭო ანუ ორგანო, რომლის გადაწყვეტილებები გამოიცემა პრეზიდენტის ხელმოწერით და არა პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით.

მაშასადამე, საფრანგეთის კონსტიტუციის საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ორდონანსების გამოცემისას მკაფიოდ არის განსაზღვრული:

ა) საკითხთა წრე (ანუ მთავრობის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები) რომლებთან დაკავშირებით გამოიციემა ორდონანსი; ვადა, რომლის განმავლობაში ორდონანსების მეშვეობით მოხდება ამ საკითხთა რეგულირება;

ბ) რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთავრობა ამ უფლების გამოსაყენებლად წინასწარ მიმართავს პარლამენტს შესაბამისი ნებართვის მისაღებად;

გ) ორდონანსი გამოიციემა მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და არა რომელიმე ცალკე აღებული მისი ორგანოს მიერ. რაც ხაზს უსვამს მისი ლეგიტიმაციის მაღალ ხარისხს.

მაგალითად, ბრაზილიის კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი ამზადებს დელეგირებულ კანონებს და ითხოვს დელეგირებას ეროვნული კონგრესისაგან [4, გვ. 85]. ამასთან, აღნიშნული უფლების დელეგირების შესახებ კონგრესის რეზოლუციით განისაზღვრება მისი შინაარსი და მოქმედების ვადა. ყველა შემთხვევაში კი კონსტიტუციით მკაცრად არის განსაზღვრული ის სფეროები, რომელთა რეგულირება დელეგირებული კანონებით დაუშვებელია. რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ დეკრეტებისა და დადგენილებების გამოცემას ისინი შეიძლება გამოიციეს მხოლოდ კანონების განუხრელად და ზუსტად აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე. ასევე, ნიშანდობლივია ის ხანგრძლივი ვადები, რომელთა განმავლობაში, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობამ უნდა მიმართოს პარლამენტს (არაუგვიანეს ერთი თვე) და, მეორე მხრივ, პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება (სამი თვე წარდგენიდან) გადაუდებელი აუცილებლობისას მთავრობის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით კომპეტენციის განსაზღვრის თაობაზე. ამისაგან განსხვავებით, მაგალითად, არგენტინის კონსტიტუციით განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული საკანონმდებლო ხასიათის დებულებების გამოცემისას მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე პერსონალურად არის ვალდებული ეს გადაწყვეტილება ათი დღის ვადაში წარუდგინოს განსახილველად კონგრესის გაერთიანებულ მუდმივ კომიტეტს. კომიტეტმა კი ეს საკითხი სპეციალური მსჯელობისათვის ათი დღის ვადაში უნდა გაიტანოს თითოეული პალატის პლენარულ სხდომაზე, რომელიც ორივე პალატის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული [5, გვ. 120].

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს მთავრობას უჩვეულოდ ვრცელ სივრცესა და ვადებს განუსაზღვრავს საქართველოს პარლამენტისაგან დამოუკიდებელი სამართალშემოქმედებითი საქმიანობისათვის.

ჩვენ ვიზიარებთ დებულებას, რომ მსგავსი სახის „დაუკონკრეტებელი და არამკაფიოდ განსაზღვრული ზოგადი ხასიათის დათქმა, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ანიჭებს უფლებამოსილებას ცალკეულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვროს თავისუფლების ფარგლები, არ შეესაბამება ადმინისტრაციის კანონიერების პრინციპს. გარდა ამისა, აღნიშნული გამოდინარეობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდანაც. თუ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება არ არის საკმარისად ნათლად განსაზღვრული, მაშინ იგი აღარ არის კანონების აღმასრულებელი და კანონმდებლის დირექტივების გამტარებელი, არამედ მათ მაგივრად იღებს გადაწყვეტილებებს, რაც არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს“ [6, გვ. 320].

ლიტერატურა

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (ახალი რედაქცია). გვ. 27. <https://matsne.gov.ge>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.11.2015.

2. ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი. გვ. 14. <https://matsne.gov.ge>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 27.10.2014.

3. საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: ვასილ გონაშვილი. თბ., 2008.

4. ბრაზილიის ფედერაციის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მე-5 ნაწილი, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი სამართლის დოქტორი ვასილ გონაშვილი. თბ., 2007.

5. არგენტინელი ერის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, პირველი ნაწილი (მეორე გადამუშავებული გამოცემა), შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი სამართლის დოქტორი ვასილ გონაშვილი. თბ., 2008.

6. შვაბე ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, სამეცნიერო რედაქტორები: კონსტანტინე კუბლაშვილი, თევდორე ნინიძე, ბესო ლოლაძე, ქეთევან ერემაძე. სტილისტური რედაქტორები: ზაზა ბზიშვილი, თინათინ ქოქრაშვილი. მთარგმნელი: ეთერ ჩაჩანიძე.

Jurate Merkiene (Vilnius, Lithuania)

Lecturer of Business English at Vilniaus kolegija/University of Applied Sciences

Ingrida Galkauskiene (Vilnius, Lithuania)

Lecturer of Business English at Vilniaus kolegija/University of Applied Sciences

THE FUTURE OF BUSINESS CITIZENSHIP

Introduction. A sense of change is coming into our lives. Living on the cusp of the post-industrial revolution we can finally take a glimpse of what the new model of sustainable business and purpose-inspired capitalism could look like. The only way to motivate people to join us in this effort to change the rules is if they believe in what is being built. Therefore nurturing a socially responsible individual is and will remain the task of teachers, parents, and all those inspirational, forward-looking people to whom society is the place where the young generation is taken care of, nurtured to become strong and responsible members of society. These changes are dynamic and members of society have many responsibilities. For one the teacher's task is not only to be eloquent in a given subject but also include issues like ethics, and of course most important of all, the attitude towards life, philosophical notions of society and the global world.

How can we encourage business citizenship? Many books and articles have been written about the most pending issues of the 21st century. However, attention should be paid to a recent one by P.Klein. The ideas concerning the priorities were mentioned as a threshold to transition of a new outlook to corporate companies. Much has been spoken about the vision for the future based on the input from corporate leaders. They have noticed that most of the ways in which businesses currently contribute to social change are not as effective for companies or communities as they could be. Scholars, forward looking businessmen acknowledge the fact that leading businesses commit to bold social goals, and integrate social change in all aspects of their operations. Corporations should become more effective players of social change by providing specific ideas for what should be done using a new approach and attitude in the forthcoming decade.

P.Klein distinguishes seven points to help executives and future business leaders become socially responsible and boast of business citizenship. The first point is achieved by moving the businesses towards a more compelling long-term vision, singling out the big issue, declaring a clear goal, and actuating the resources available. Corporations become successful because they identify problems, allocate resources to uncover and deliver solutions, and are accountable for what happens. The second point of importance is to make more effort to engage the millennials in the workforce. The authors William Strauss and Neil Howe believe that each generation has common characteristics that give it a specific character, with four basic generational archetypes. According to their theory, they predicted millennials will become more "civic-minded with a strong sense of community both local and global. Employees of this generation want to be rewarded in ways that go beyond compensation and expect their employers to support their interest in social change. These employees also want to apply what they know to issues that they are passionate about. Millennials have low trust in government, and are thus reaching out to business to help address today's huge social issues, are passionate about driving change, and are eager to work with business to make it happen. Millennials do not hesitate to punish brands that misbehave, and are willing to reward brands that behave like good citizens with loyalty and positive word of mouth. While millennials are already able to identify a few brands that are leading in this area, the majority, say they expect businesses to do much more. It is clear that the time has come for companies and brands to redefine their purpose and citizenship efforts, or prepare to be less relevant. Businesses have the potential and the possibility to make a real change in society happen faster and more efficiently compared to governments. Businesses have the resources – from financial means, collective intelligence to technology – to contribute and make a difference. The millennials are making a demand of businesses becoming active citizens,

making an impact, talking about your efforts, involving customers. In return the millennials become loyal participants of a company, spread positive word of mouth. Millennials believe in active citizenship, volunteering, doing what you can when it is necessary. All in all, it means being a game changer. Active citizenship can be defined as using social media to increase awareness of important issues, knowing that companies care as much about their social impact as financial performance, influencing others to get involved in an issue, businesses living their purpose and value. Susan Heaney says “Companies should focus on the intersection of what is important to the planet, what is important to their stakeholders, and where they can have impact. Find, fit, focus. Don’t let CSR be an island of the coast.” The third issue is the necessity of reacting to critical remarks and taking heed of the problem. P. Klein thinks it is important to engage all those who are critical on the issues. Instead of arguing find out about the expectations, solve the problems and demonstrate the willingness to change for the better. Corporations that include the perspectives of advocacy organizations create opportunities to make meaningful changes. This has led to the development of forward-looking commitments covering every area of business—nutrition, water, rural development, sustainability, and compliance.” According to the fourth point it is necessary to begin to allocate some of the company’s philanthropic giving to social purpose businesses. This will establish a base of social investment the results of which can be quantified while preserving philanthropic commitments that are meaningful to employees. The fifth issue is to ensure that all strategic investments include credible ways of measuring and evaluating performance. The sixth point is connected to the reduction of cost and improving efficiency. There seems to be a lot of red tape concerning reporting of corporate social responsibility. The seventh issue urges companies to be troublesome in the sense of changing to become better, more socially responsible with a tinge of business citizenship. P. Klein considers that oil and gas companies could begin transforming some of their stations into local centres of sustainable transportation. Banks could start crowdsourcing platforms to help social entrepreneurs access capital. Credibility, efficiency, being troublesome, self-critical, having a vision and being able to follow it. These are issues students, young entrepreneurs, the millennials and future socially responsible businessmen and women should be addressing themselves and their teachers at college and university and hopefully in their new business. Being socially responsible has become a fashionable trend. It is more and more the case in many societies of the world. In educating young people we honour the name of all society. External social support is necessary to nurture the socially responsible personality. It is up to us to teach students and believe that they will not only have the necessary soft and hard skills to live and work in a better society but also have the basis of making the company they will work for a socially responsible one. Business citizenship is here to stay. **Conclusion.** A socially responsible person is one who has been nurtured to be a good specialist with the knowledge of business citizenship.

REFERENCES

1. **Bowen H.** Social Responsibilities of the Businessman. New York: Publisher «Harper», 1993.
2. **Crane A., Matten D., Moon J., Siegel D.** *The Oxford Handbook of Corporate Social Responsibility.* New York: Publisher «Oxford University», 2008.
3. **Visser W., Matten D., M. Pohl, Tolhurst N.** *The A to Z of Corporate Social Responsibility.* New York: Publisher «Wiley», 2007.
4. **Alsop R.** *The Trophy Kids Grow Up: How the Millennial Generation is Shaking Up the Workplace.* New York: Publisher «Jossey-Bass», 2014.

Agne Shimelyte (Vilnius, Lithuania)

Holds PhD in Social Sciences, an Associate Professor at Vilnius Kolegija/ University of Applied Sciences, an Associate Professor at Vilnius Gediminas Technical University, Department of Economics and Management of Enterprises

Aushra Liuchvaitiene (Vilnius, Lithuania)

Holds PhD in Social Sciences, an Associate Professor at Vilnius Kolegija/ University of Applied Sciences, an Associate Professor at Vilnius Gediminas Technical University, Department of Economics and Management of Enterprises

Jurate Merkiene (Vilnius, Lithuania)

Lecturer of Business English at Vilniaus kolegija/University of Applied Sciences

**DETERMINANTS OF INWARD FOREIGN
DIRECT INVESTMENTS IN THE BALTIC
STATES**

Introduction. Although, various studies provide controversial results about the effect of FDI on host country, the governments tend to attract FDI as it is treated as the main driver for economic development. OLI paradigm defines three main factors determining FDI flows: ownership, location and internationalization [1, p. 94]. Meanwhile, market imperfection theory states that MNCs move their activity to the host country to explore their own competitive advantages over the domestic capital [2, p. 25]. The oligopoly reaction theory defines MNCs willingness to avoid or to reduce business risk [2, p. 217]. The aim of the thesis is to define determinants of inward FDI in the Baltic States. Methodology is based on previous studies and cover descriptive statistics and correlation-regression methods [2, p. 38; 242].

Discussion of the Results. In the global environment, Estonia stands out in all aspects among the Baltic States, except for its market size, which shows the lowest ratio among the countries concerned. Estonia, being a small market country, generates highest amounts of FDI among the Baltic States. The authors of the article favour an inclusion of an additional factor determining market potential. This factor is expressed as purchasing power parity. According to IMF, in 2013 comparing to 2012, PPP showed the fastest growth of up to 5.83 % in Latvia and the slowest growth is noticed in Estonia (4.47 %); in Lithuania this ratio rose 5.14 % and made up € 16683 (Estonia - € 16820, Latvia - € 14344). Although Latvia stands out for its PPP growth, this ratio is the lowest among the Baltic States. The trends indicate that the market potential of the Baltic States tends to grow. Another factor forming the country's attractiveness is *human resources* [2, p. 321]. Every Baltic State defines this factor as a multilingual, open-minded, flexible, cheap high quality labour force. Lithuania emphasises that 74 % of young people hold at least a bachelor degree. This ratio is much higher than the EU average. According to this ratio, Lithuania is ranked as 16 out 144 in the global context; meanwhile Estonia is ranked as 27, Latvia as 34 [3, p. 185; 198; 199]. Although the rank of educated labour force is high, the rank of quality of education system is much lower. Lithuania's geopolitical position between the East and the West, a well-developed infrastructure network, an ice-free port of Klaipeda, Kaunas and Vilnius international cargo airports provide a competitive advantage over other Baltic States. Latvia is located in a strategic position as well with a highly developed infrastructure, rapidly expanding Riga's international airport, ice-free ports. Close relations with Scandinavians and Russia, good transport link with Eastern Europe give an opportunity for Estonia to expand transit services. However, geopolitical situation and infrastructure give a partial competitive advantage for each of the Baltic States. The results of bivariate correlation indicated that in Estonia labour costs (0.745) had the most significant influence on attracting FDI towards R&D sectors; this factor inversely correlated with FDI in Lithuania's case (0.574). Government's support, the potential of human resources, market potential and a number of scientists and researchers significantly influence FDI towards R&D in Estonia and Lithuania. Meanwhile, in Latvia the

support of the government for R&D has minor importance in attracting FDI. In this country inward FDI towards R&D is determined by labour costs and results of scientific achievements. The analysis of multiple linear regression revealed that in Estonia inward FDI will slow down if the government reduces its support for R&D, scientific achievements decrease, market potential lowers. Estonia will generate FDI towards R&D if human resource potential increases. This investigation reveals that the Baltic States may successfully attract FDI into high-tech. Both correlation regression analysis and studies of annual global competitiveness reports prove that government support is one of the major factors in attracting FDI towards R&D sectors. Estonia is the most attractive country to do business among the Baltic States [3, p.185]. Foreign investors are interested in the Baltic States due to low taxes and highly qualified labour force. However, investors indicate bureaucracy, tax regulation and inefficient investors' protection as the main obstacle for starting a business in Lithuania [4, p. 250]. The government and political instability negatively effect decision makers to invest in Latvia [4, p. 242]. Estonia faces two problems: inadequately educated labour force and inflation, while corruption and bureaucracy are the smallest obstacles for starting and doing a business [4, p. 176]. Conservative investors more often prefer a country, which has already attracted famous brands for starting a business. This shows that a country is reliable, stable, and welcomes multinational corporations. Estonia gives Skype as an example of the right choice to invest made by an IT company. This ICT sector of the Baltic country has gained € 407 million, while Lithuania has accumulated € 392 million. Currently, 3,055 foreign companies operate in Lithuania, 439 of them in the manufacturing industry. In addition, the distribution of investing countries in the Baltic States is similar, which shows intensive competition for FDI in the region. Especially, the Baltic States compete for FDI from Scandinavian countries.

Conclusions. A common feature distinguishing the Baltic States from the other EU member states is a cheap skilled labour force. This factor increases the competition between Lithuania, Latvia and Estonia. However, such small economies must offer for investors much more than cheap skilled labour force as labour costs has been rising since all three Baltic countries joined the Eurozone. The major limiting factors in attracting foreign capital are bureaucracy and inflexibility of the law, complicated conditions to acquire land, rent it.

REFERENCES

1. **Hymer, S. H.** 1971. The internalization of capital, Annual Meeting of the Association for Evolutionary Economics, New Orleans, Louisiana, 27-28 December: 91–111.
2. **Groose, R.** [editor] 2005. International Business and Government Relations in the 21st century, Cambridge University Press: United Kingdom.
3. **Doing Business.** 2015. Washington, DC: The International Bank for Reconstruction and Development=The World Bank.
4. **The Global competitiveness report 2014–2015.** Geneva, Switzerland: World Economic Forum.

შპს 1+32+33+34+35

ანზორ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინტრინგის ფაკულტეტის პროფესორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიისა და პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

**წინააღმდეგობები
სოციალურად ორიენტირებული
საბაზრო-ეკონომიკური სისტემის
ეკონომიკურ მიზანსა და მის
სოციალურ ორიენტაციას შორის**

სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო-ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს ობიექტური წინააღმდეგობები, რომლებიც გამოძინარეობს ამ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის არსიდან და მისი სპეციფიკური ნიშნებიდან.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ჩემს მიერ განიხილება როგორც საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც ერთდროულად ახასიათებს, ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ორიენტაცია, ანუ ორიენტაცია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური მიმართულება, ანუ ეკონომიკური მიზანი, და ამავე დროს ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია – წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსს და მის სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც განაპირობებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს [1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; და სხვა].

ამასადასა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსში ასახულია ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური მიზანი და ამავე დროს მისი სოციალური ორიენტაცია.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკურ ნიშნებს, ეს ნიშნები გამოიხატება აგრეთვე აღნიშნული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიმართულებაში, ანუ ეკონომიკურ მიზანში, და ამავე დროს მის სოციალურ ორიენტაციაში.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები ემთხვევა ერთმანეთს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის არსში გამოხატულია აგრეთვე მისი სპეციფიკური ნიშნები, ხოლო მის სპეციფიკურ ნიშნებში გამოხატულია აგრეთვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი.

ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები, ანუ ამ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური მიზანი და ამავე დროს მისი სოციალური ორიენტაცია განაპირობებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობას, *ჩემი ღრმა და დასაბუთებული რწმენით*, წარმოადგენს წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს აგრეთვე სხვა წინააღმდეგობები, რომლებიც ამ საბაზრო ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს შემდეგი წინააღმდეგობები:

- წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის;

- წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა ეკონომიკურ მიზანსა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას შორის;

- წინააღმდეგობა მეწარმეთა კერძომესაკუთრულ ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის;

- წინააღმდეგობა უკანონო შემოსავლების მიღების მსურველთა – კორუფციონერთა – წმინდა ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის; და ასე შემდეგ.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები რეალურად არსებობს და ეს წინააღმდეგობები, როგორც უკვე აღინიშნა, გამომდინარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან, რადგან როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკის, ისე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, მაგრამ ამასთან ერთად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მისი ფუნქციონირების სოციალური ორიენტაცია, რაც აშკარად წინააღმდეგობაში მოდის ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანთან.

მაშასადამე, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკა მაქსიმალური მოგების მიღებას – ეკონომიკურ მიზანს ემსახურება, მაგრამ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი სპეციფიკური ნიშნები სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკურ მიზანთან ერთად, *როგორც უკვე აღინიშნა*, მისთვის დამახასიათებელია სოციალური ორიენტაცია, რაც იწვევს აღნიშნულ წინააღმდეგობებს.

სწორედ ეკონომიკურ მიზანს ემსახურება თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინააღმდეგობაში მოდის ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის

სოციალურ ორიენტაციასთან და ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობასთან.

ამრიგად, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა ემსახურება ეკონომიკურ მიზანს – მაქსიმალური მოგების მიღებას, რის გამოც სახელმწიფოს მიერ სათანადო სამართლებრივი რეგულირების გარეშე ამ ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაცია შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურად გამიზნულ თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის დაკავშირებულია სწორედ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობასთან და გამომდინარეობს ამ წინააღმდეგობიდან, ანუ გამომდინარეობს წინააღმდეგობიდან, *ერთი მხრივ*, საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა, რაც გამოიხატება მოგების მიღებისადმი სწრაფვაში, და, *მეორე მხრივ*, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც გულისხმობს ეკონომიკის მიმართულებას ხალხის ინტერესების რეალიზაციისაკენ, და რაც განხორციელებადია მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობანი ობიექტურ ხასიათს ატარებენ, რადგან ისინი მოქმედებენ ცალკეული ადამიანების ნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებლად, თუმცა აღნიშნული ობიექტური წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებელია თვით ადამიანის – სუბიექტის მიერ სახელმწიფო ღონეზე მიღებული სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გამოყენებით.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შინაგანი წინააღმდეგობანი და მათი დაძლევის გზები მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკურენციის პრობლემასთან.

კონკურენციასთან დაკავშირებით ლუდვიგ ერნარდი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „კონკურენციის მეშვეობით შეიძლება მიღწეულ იქნეს – ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით – პროგრესისა და მოგების სოციალიზაცია... [10, გვ. 13-14], თუმცა კონკურენციის პრობლემა, ჩემი აზრით, მეტად რთული და წინააღმდეგობრივია.

კონკურენციის, უფრო ზუსტად კი ყოველი კონკურენტის, ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკის, მიზანია – მოგება.

ამასთან ერთად, როდესაც სახელმწიფო შეგნებულად უშვებს კონკურენციას, საბაზრო ეკონომიკას, მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს არა ცალკეული კონკურენტების გამდიდრება, თუმცა კონკურენტების კანონიერ გამდიდრებასაც უნდა შეუწყოს მან ხელი, არამედ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება ხალხის – ყოველის ადამიანის – საკეთილდღეოდ, რაც, *თავის მხრივ*, თავისთავად გულისხმობს კონკურენტების მომგებიან საქმიანობასაც, რადგან სხვაგვარად ქვეყნის ეკონომიკაც ვერ იქნება ეფექტიანი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ კონკურენციის და, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, საერთოდ საბაზრო ეკონომიკის მიზანი – მოგება, მოგების მიღება, შედის წინააღმდეგობაში უშუალოდ ხალხის ინტერესების რეალიზაციის, ესე იგი სოციალური მიზნის რეალიზაციის პრობლემის გადაჭრასთან, რაც კონკურენციის პირობებში წარმოადგენს მეტად რთულ ფენომენს საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით.

საზოგადოების ორიენტაციის პრობლემა ცალკე სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკას და მის მიზანსწრაფვას მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ, უნდა აღინიშნოს, რომ, ცხადია, სახელმწიფოში ეკონომიკური სიმდიდრის შექმნა სოციალური პრობლემების გადაჭრის აუცილებელ პირობას

წარმოადგენს, მაგრამ, ამასთან ერთად, შეუძლებელია, რომ მიღებული მოგება ავტომატურად ემსახურებოდეს სოციალური მიზნის – ხალხის ინტერესების რეალიზაციას.

სწორედ ამან განაპირობა, ჩემი აზრით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის შექმნა, რომელიც ეკონომიკური მიზნის რეალიზაციასთან ერთად წინა პლანზე წამოწევს სოციალური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას.

საბაზრო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს კონკურენცია, რომელიც ხელს უწყობს მოგების მაქსიმიზაციას.

ამასთან, კონკურენციას, როგორც ცნობილია, ადამ სმიტმა ბაზრის „უხილავი ხელი“ უწოდა, რომელიც (ე. ი. კონკურენცია) ცალკეული ინდივიდების მიერ მოგების მიღებაზე გამიზნული ეგოისტური საქმიანობის შედეგად ხელს უწყობს, საბოლოო ჯამში, ეკონომიკის განვითარებას და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ამრიგად, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონკურენცია მოგებაზე გამიზნული საქმიანობის შედეგად თითქოსდა თავისთავად – ავტომატურად – იწვევს სოციალური მიზნის რეალიზაციას.

კერძოდ, ადამ სმიტი წერდა: „იგი (ადამიანი – ა. კ.) ჩვეულებრივად ამ დროს არც ფიქრობს საზოგადოებრივ სარგებლობაზე და ვერ აღიქვამს, როგორია ზემოქმედება მასზე... მას მხედველობაში აქვს მხოლოდ საკუთარი ინტერესი... ამასთან ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც მრავალ სხვაში, იგი უხილავი ხელით წარიმართება მიზნისაკენ, რომელიც სულაც არ ჰქონდა გათვალისწინებული... მიჰყვება საკუთარ ინტერესებს, იგი ხშირად უფრო ქმედითად ემსახურება საზოგადოებას, ვიდრე მაშინ, როდესაც შეგნებულად ფიქრობს ამის გაკეთებას“ [11, გვ. 332].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივლივართ ლოგიკურ დასკვნამდე, თითქოს საბაზრო ეკონომიკას „უხილავი ხელის“ მოქმედების შედეგად თავისთავად აქვს „უხილავი“ სოციალური ორიენტაცია, რადგან მას მივყავართ სოციალურად მნიშვნელოვან შედეგებამდე.

ყოველგვარად იმსახურებს ის გარემოება, რომ მოცემული დასკვნა გარკვეულწილად ამჟამადაც შეესაბამება ჭეშმარიტებას.

თუმცა, თუ ადამ სმიტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობებში „უხილავი ხელის“ თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ამჟამად მხოლოდ კონკურენციით დაკმაყოფილება და „უხილავი ხელის“ იმედზე ყოფნა, ჩემი აზრით, სერიოზულ შეცდომას წარმოადგენს, რადგან, *ჯერ ერთი*, მაქსიმალურად შესაძლო ეკონომიკური ზრდა მიუღწევადია საზოგადოებაში სახელმწიფოს ხელმძღვანელი და მარეგულირებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული როლის გარეშე, ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტების მაქსიმალურად შესაძლო თავისუფლების შენარჩუნებით, და, *მეორეც*, მაღალი ეკონომიკური შედეგებიც კი, შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების გარეშე, ვერ იქნება ავტომატურად ტრანსფორმირებული სოციალურ ორიენტაციაში და, მით უმეტეს, ამ ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციაში.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრობლემის გადაჭრის გასაღები კონკურენციის პირობებში ძვეს სახელმწიფო მართვის პროცესში სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიან გამოყენებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობებში, ცხადია, მოსალოდნელია გარკვეული დადებითი სოციალური შედეგები, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი (ანუ თავისუფალი) საბაზრო ეკონომიკა მაინც ვერ იქნება სოციალურად ორიენტირებული, რადგან საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას აუცილებლად სჭირდება სათანადო სახელმწიფოებრივი რეგულირება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკურ მიზანს ემსახურება აგრეთვე საწარმოთა ფუნქციონირება, რადგან საწარმოთა მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინააღმდეგობაშია მის სოციალურ ორიენტაციასთან.

მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისათვის, აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის სათანადო გამოყენება.

ამასთან, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გამოყენებაში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ეკონომიკის რეგულირება სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენებით (სათანადო კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საშუალებით), ისე ეკონომიკის დერეგულირება, რომელიც, ჩემი აზრით, რეგულირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, და რაც უნდა დარეგულირდეს აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან წინააღმდეგობაშია აგრეთვე მეწარმეთა კერძომესაკუთრული ეკონომიკური მიზანი, რაც სრულიად ბუნებრივია და რაც გამომდინარეობს უშუალოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან.

სრულიად აშკარაა აგრეთვე უკანონო შემოსავლების მსურველთა ეკონომიკური მიზანი, რაც მკვეთრად გამოხატულ წინააღმდეგობაში მოდის საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან.

გარდა აღნიშნული წინააღმდეგობებისა, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს მთელი რიგი სხვა წინააღმდეგობებიც, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობასთან და გამომდინარეობს ამ წინააღმდეგობიდან, ანუ გამომდინარეობს წინააღმდეგობიდან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოციალურად არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით, სახელმწიფო სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ცდილობს (უნდა ცდილობდეს) დაძლიოს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია სახელმწიფო მართვის უმთავრესი პრობლემის გადაჭრა – ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

ლიტერატურა

1. Кураташвили Анзор А. Социально ориентированные рыночные отношения и правовой фактор. Труды Грузинского технического университета. 1998, № 5 (421). Тбилиси: Издательство "Технический университет", 1998, с. 132-133.

2. კურატაშვილი ანზორ. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და მისი ძირითადი წინააღმდეგობა. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: „საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპი. პრობლემები და პერსპექტივები“, შრომების კრებული. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 1999, გვ. 78.

3. Кураташвили Анзор А. Рыночная экономика и правовой фактор. BULLETIN "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 7 (57), July, 1999. New York, USA, p. 6.

4. Кураташвили Анзор А. Эффективное использование правового фактора – необходимое условие преодоления противоречий социально ориентированной

рыночной экономики. Международный научный журнал "Прогресс", 2000, № 1-2. Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2000, с. 57-62.

With economic development new types of intermediaries occur. There are companies that provide food delivery services. They propose assortment of a range of retailers, let end customer save time and transportation costs. In developed countries such service is sometimes connected to "smart home" system. Nevertheless this service imposes extra costs this is why this kind of intermediaries occurs on economic growth stage and disappears on stagnation part of economic cycle. With the growth of wages and rent price new physical forms of retail become more popular. For example machines with food i.e. snacks and grocery are very popular in Italy because food stores close early. Nevertheless there is no need in grocery machines in Ukraine because there are numerous 24h food stores.

Taken together, these findings suggest that intermediation is much wider than distribution channel intermediaries provided in a classic concept. Moreover new technologies and economic development influence disintermediation and transformation of intermediaries.

References:

1. **Anderson P.** The New E-Commerce Intermediaries [Electronic resource] / P. Anderson, E. Anderson – Access mode: <http://sloanreview.mit.edu/article/the-new-ecommerce-intermediaries/>.
2. **Bhasin H.** Channel Levels – Consumer and industrial marketing channels [Electronic resource] / Hitesh Bhasin – Access mode: <http://www.marketing91.com/channel-levels-consumer-industrial-marketing-channels>.
3. **Roushan T.** The new middlemen: the eCommerce model [Electronic resource] / Tao Roushan. – 2014. – Access mode: <https://www.tradegecko.com/blog/the-new-middlemen-ecommerce-model>.

ლია კოზმანაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
აუდიტორული ფირმა “აუდიტ-ლოჯიკ“-ის დირექტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი

საგადასახადო სისტემა ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სრულყოფილი საგადასახადო სისტემის შექმნას.

საგადასახადო სისტემის მზარდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, სრულყოფილი საგადასახადო სისტემის პირობებში უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა და შესაბამისად იზრდება ქვეყნის ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ არასრულყოფილი საგადასახადო სისტემის პირობებში პირიქით ხდება – ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარება მნიშვნელოვნად ფერხდება.

ნებისმიერი ქვეყნის არსებობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მყარი, სტაბილური ფინანსური ბაზის შექმნა, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო შემოსავლების სრული მობილიზაციის უზრუნველყოფისა და მდგრადი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების პირობებში.

ამრიგად, სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემისათვის უმნიშვნელოვანესია შემოსავლის შექმნის, ამ შემოსავლის სწორი განაწილებისა და გადანაწილების უზრუნველყოფა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ეკონომიკისა და გარდამავალი ეკონომიკის პირობებში.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ცნობილია, “განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდა სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების გავლენით” [1, გვ. 3].

ზემოაღნიშნული ციტატა მოყვანილია ოლგა მეშჩერიაკოვას წიგნიდან: “მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები (ცნობარი)”, რომელშიც შემდეგ აღნიშნულია, რომ საფუძვლიანი კვლევისას “შეიძლება გამოიყოს საერთო ნიშნები, რომლებიც ახასიათებს საგადასახადო სისტემებს:

სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლების ზრდის გზების ძიება;

საგადასახადო სისტემების აგება თანასწორობის, სამართლიანობისა და საგადასახადო დაბეგვრის ეფექტიანობის შესახებ ეკონომიკური თეორიის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ბაზაზე.

მთლიანობაში საგადასახადო სისტემების აგების პრინციპები არაერთმნიშვნელოვანია და ბევრად არის დამოკიდებული ამა თუ იმ ეკონომიკური თეორიის მიმართ მთავრობის მხარდაჭერაზე” [1, გვ. 3].

ამრიგად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების მიერ ამა თუ იმ საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში.

საზოგადოდ, ნებისმიერ სახელმწიფოში ბიუჯეტის შევსება ხდება სხვადასხვა სახის შემოსავლებით.

საყოველთაოდ ცნობილია, აგრეთვე, რომ საზოგადოებაში ყოველთვის მოქმედებს შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმი, რომელშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება ქვეყნის ხელისუფლებას.

თავის მხრივ, შემოსავლების გადანაწილების მექანიზმის სახელმწიფოებრივ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგადასახადო დაბეგვრას.

ცნობილი ფაქტია, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ შეუძლია არსებობა გადასახადების გარეშე.

სახელმწიფო აწესებს პირდაპირი და არაპირდაპირი სახის გადასახადებს, შემდეგ ახდენს ამ გადასახადების მობილიზებას სახელმწიფო ხაზინაში და მისი მეშვეობით სახელმწიფო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას.

წინა აბზაცში აღნიშნულის პრაქტიკულად განხორციელებას სახელმწიფო ახდენს საგადასახადო სისტემის მეშვეობით.

“საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი გადასახადების, მათი დაწესების, შეცვლის, გაუქმებისა და გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას. ამ სისტემის როლი და სტრუქტურა განისაზღვრება სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებით” [2, გვ. 51].

ნებისმიერი სახის ეკონომიკურ ურთიერთობებში საგადასახადო სისტემის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფოს უზრუნველყოფა ფინანსური რესურსებით.

გადასახადების მობილიზება ხდება სახელმწიფოს მიერ სათანადო საგადასახადო განაკვეთების დაწესების საფუძველზე. საგადასახადო განაკვეთების დაწესებას, თავის მხრივ, საფუძველად უდევს თანასწორობა და სამართლიანობა.

“საგადასახადო განაკვეთი (ტახ რატე) – შემოსავლების, სამომხმარებლო ხარჯების ან მოგების პროცენტული წილი, რომელსაც სახელმწიფოს უხდის ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, თუკი მათ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისი დაბეგვრა ეხებათ“ [3, გვ. 273].

საზოგადოდ, საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, საგადასახადო ურთიერთობათა მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებსა და გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟის სახით სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემაში აუცილებელი გადასახადების დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს, აგრეთვე გადასახადების გადახდასთან, საგადასახადო კონტროლსა და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობას და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილი დავების გასაჩივრება-გადაწყვეტის წესებს.

“ცხადია, საგადასახადო სისტემის მიზანი მთავრობისთვის საგადასახადო შემოსავლის უზრუნველყოფაა. მაგრამ ნებისმიერი კონკრეტული თანხის მიღების უამრავი გზა არსებობს. საგადასახადო სისტემის აგებისას პოლიტიკოსებს ორი მიზანი აქვთ: ეფექტიანობა და თანასწორობა.

ორი საგადასახადო სისტემიდან უფრო ეფექტიანია ის, რომელშიც გადასახადების ერთი და იგივე რაოდენობა გადახდელთა ნაკლები დანახარჯებით გროვდება. რა არის გადამხდელთა დანახარჯები? ყველაზე აშკარა დანახარჯია თვით გადასახადის გადახდა. თანხის გადასვლა გადასახადის გადამხდელის ჯიბიდან მთავრობის ხაზინაში ნებისმიერი საგადასახადო სისტემის აუცილებელი თვისებაა. გარდა ამისა, საგადასახადო სისტემის შემქმნელები ცდილობენ, გვერდი აუარონ ან, ყოველ შემთხვევაში მინიმუმამდე დაიყვანონ ორი სხვა დანახარჯი:

- საერთო დანაკარგები, რომლებსაც იწვევს გადასახადების მიერ ადამიანთა გადაწყვეტილებების დამახინჯება.

- ადმინისტრაციული ზეწოლა, რომელიც საგადასახადო კანონებს დამორჩილებულ გადამხდელზე მოქმედებს.

ეფექტიანია ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც მცირე საერთო დანაკარგებს წარმოშობს და ადმინისტრაციულ ზეწოლას ამსუბუქებს” [4, გვ. 237].

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო სისტემები განსხვავდება ერთმანეთისგან. განსხვავება განპირობებულია იმით, რომ საგადასახადო სისტემა ყალიბდება ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. აღნიშნული პირობები კი სხვადასხვა ქვეყნებში რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისგან.

წინა აბზაცში აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო სისტემები განსხვავდება გადასახადის სახეებისა და რაოდენობის, სტრუქტურის, გადასახადის განაკვეთების, გადასახადების მოქმედების სფეროსა და საგადასახადო შეღავათების მიხედვით, თუმცა მათ აქვთ საერთოც.

საქართველოში 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის განმარტების თანახმად, “გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე” [5, გვ. 6].

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის, რომელიც მიღებული და სამოქმედოდ შემოღებულია 2011 წლის 1 იანვრიდან, განმარტების მიხედვით, ტერმინი “გადასახადი” არის “ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე” [6, გვ. 3].

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარებისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის მიღწევისათვის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია ქვეყანაში სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო სისტემის შექმნა-ფუნქციონირება. სხვანაირად ვერ გადაიჭრება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ქვეყნის ფისკალურ ურთიერთობებში არსებული წინააღმდეგობები, რომლის პრაქტიკულ გამოხატულებასაც წარმოადგენს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტი და, მეორე მხრივ, მეწარმეობის განვითარების დამუხრუჭება, რაც განსაკუთრებით მწვავე ფორმებით არის გამოხატული გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევის ძირითადი წყარო არის დამატებითი შემოსავლების მობილიზება, ხოლო მეორე წინააღმდეგობის – მეწარმეობის განვითარების დამუხრუჭების პროცესის დაძლევა მოითხოვს გადასახადების შემცირებას, ურომლისოდაც პრაქტიკულად შეუძლებელია ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი პოლიტიკური და სოციალური პირობების არსებობისას, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება;

სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო სისტემები ეფუძნება საერთო პრინციპებს, რომლებიც თავის მხრივ გამოხატულებას პოულობენ გადასახადების საერთო ელემენტებში, როგორიცაა: ობიექტი, სუბიექტი, წყარო, დაბეგვრის ერთეული, განაკვეთი, შეღავათები, საგადასახადო სარგო.

საგადასახადო სისტემა მოიცავს სხვადასხვა სახის გადასახადებს, რომელთა კლასიფიკაციაც წარმოებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. გადასახადები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად.

პირდაპირი გადასახადები (დაბეგვრის პირდაპირი ფორმა) წესდება უშუალოდ შემოსავალზე ან ქონებაზე.

არაპირდაპირ გადასახადებს კი მიეკუთვნება ისეთი გადასახადები, რომლებიც შედის საქონლის ან მომსახურების ფასში.

იმის მიხედვით, თუ ვინ არის გადასახადის ამომღები და მიღებული შემოსავლების განმკარგულებელი, გადასახადები იყოფა ორ ჯგუფად:

1. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები
2. ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები არის კოდექსით დაწესებული ისეთი გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი გადასახადები არის კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადები (კოდექსით დაწესებული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომელთა გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

1. საშემოსავლო გადასახადი;
2. მოგების გადასახადი;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
4. აქციზი;
5. სოციალური გადასახადი (სსკ-დან ამოღებულია 01.01.08 წლიდან);
6. საბაჟო გადასახადი;

ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

1. ქონების გადასახადი;
2. სათამაშო ბიზნესის გადასახადი (სსკ-დან ამოღებულია 01.01.07 წლიდან);

საგადასახადო დაბეგვრა ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოს ჩამოყალიბების, განვითარებისა და მის მიერ სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის თვალსაზრისით. შესაბამისად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სრულყოფილი საგადასახადო სისტემის შექმნას, რომელიც თავისთავად უზრუნველყოფს ოპტიმალური საგადასახადო დაბეგვრის განხორციელებას და შემოსავლების აკუმულირებას სახელმწიფო ბიუჯეტში.

გადასახადის განაკვეთები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ მან უზრუნველყოს ქვეყანაში როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებას. პირველ რიგში კი უზრუნველყოფს ქვეყნის მთავარი პრობლემის – დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, რაც თავისთავად არის სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში ხალხის ინტერესების წინა პლანზე წამოწევის პროცესი.

საბაზრო ეკონომიკისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების პარალელურად უნდა მოხდეს ქვეყნის საგადასახადო სისტემის სრულყოფა. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას. ვინაიდან აღნიშნულ ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელია ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტემპის დაჩქარება, შესაბამისად, აქცენტი უნდა იყოს გაკეთებული ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე “ინდიკატურ დაგეგმვას – ეროვნული ეკონომიკის საორიენტაციო დაგეგმვა სახელმწიფო დონეზე, რომელიც არ ზღუდავს ეროვნული კაპიტალის უფლებებს. მასში განსაზღვრულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების სისტემა და მათი რეალიზაციის გზები” [3, გვ. 132].

საგადასახადო დაბეგვრა ფუნდამენტურია სახელმწიფოს ჩამოყალიბების, განვითარებისა და მის მიერ ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევის თვალსაზრისით.

საქართველოსთვის საგადასახადო დაბეგვრის საკითხი წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა, რადგან როგორც ყველა ქვეყანაში, ასევე საქართველოშიც ადგილი ჰქონდა გადასახადების გადახდისთვის თავის არიდებას. აღნიშნული გამოწვეული იყო ერთი მხრივ საკანონმდებლო ბაზისა და გადასახადების ადმინისტრირების მექანიზმების არასრულყოფილებით, მეორე მხრივ კი ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი დონით.

რეალურად, ისევე, როგორც ნებისმიერი ქვეყნისათვის, საქართველოს შემთხვევაშიც, პირველ რიგში, ეკონომიკის არსებულ მდგომარეობაზე მორგებულმა და კონკრეტული პირობების გათვალისწინებით შედგენილმა საგადასახადო კოდექსმა უნდა უზრუნველყოს

ქვეყანაში საგადასახადო კულტურის ფორმირება, ნაცვლად გადასახადის ამოღების ძალისმიერი მეთოდების დანერგვისა.

საზოგადოდ, მეწარმე, რომელიც თავისი საქმიანობით მიღებული მოგებიდან გარკვეულ ნაწილს რიცხავს ბიუჯეტში, სახელმწიფოსაგან უკეთეს დამოკიდებულებას, უკეთეს მოპყრობას, ყურადღებასა და ხელშეწყობას იმსახურებს.

გადასახადის გადამხდელსა და გადასახადების ამკრეფს შორის უნდა არსებობდეს წმინდა ეკონომიკური ურთიერთობები, ანუ სახელმწიფო და მეწარმე უნდა იყვნენ პარტნიორულ დამოკიდებულებაში.

რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული საკითხების წარმატებით გადაწყვეტა ყველა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ, მით უმეტეს, დიდი მნიშვნელობა აქვს მას ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში, რამდენადაც, როგორც პროფესორი ალფრედ კურატაშვილი აღნიშნავს, “საბაზრო ურთიერთობების არსებობის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, რამეთუ ეკონომიკური ურთიერთობების არსებობა ბაზრის გარეშე შეუძლებელია, რის გამოც ამ დებულების დამატებით მტკიცება ზედმეტად მიმაჩნია.

ამასთან, – განავრძობს ავტორი, – ჩემი ღრმა რწმენით, საბაზრო ურთიერთობები გენეტიკურად ანტაგონისტურ ხასიათს ატარებს, რაც აუცილებელს ხდის სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას ისეთი პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნაში, რომელთა გამოყენებით ეს ურთიერთობები სოციალური მიზნის რეალიზაციას დაექვემდებარება, ანუ რომელთა გამოყენების (სოციალურ-ეკონომიკური მართვის მექანიზმების გამოყენების) შედეგადაც საბაზრო ურთიერთობები ჭეშმარიტად ხალხის ინტერესებს დაექვემდებარება” [7, გვ. 157].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო სისტემას, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს, და რომელიც განსაკუთრებულ როლს უნდა ასრულებდეს ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, ანუ ისეთი ურთიერთობების ფორმირებაში, რომლის ამოცანაც იქნება როგორც სახელმწიფოს შემოსავლიანობის ზრდა, ისე უშუალოდ ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რადგან ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკა საბოლოო ჯამში უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესების რეალიზაციას.

ლიტერატურა

1. **Мещерякова О.В.** Налоговые системы развитых стран мира (справочник) – М.: Фонд «Правовая культура», 1995.
2. **ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ.** ”საგადასახადო საქმე”. თბილისი: გამომცემლობა ”ვერუე”, 2007.
3. **ასათიანი როზეტა.** თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი: საგამომცემლო ფირმა “სიახლე”, 2009.
4. **მენქიუ გრეგორი.** ეკონომიკის პრინციპები. თბილისი: გამომცემლობა “დიოგენე” 2000, 2008.
5. **საქართველოს საგადასახადო კოდექსი.** კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი: საგამომცემლო ფირმა “მერმისი-2005”, 2010.
6. **საქართველოს კანონი ”საქართველოს საგადასახადო კოდექსი”. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.** №54, 12.10.2010წ. მუხლი 343. თბილისი: გამომცემელი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, 2010.
7. **კურატაშვილი ალფრედ.** ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

ნონა დათუაშვილი (თბილისი, საქართველო)

სამართლის დოქტორი, საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის
არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის
ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი

**მართლმსაჯულების რაობა:
მართლმსაჯულება – ხელისუფლების
დამოუკიდებელი შტო**

მართლმსაჯულება წარმოსდგება სიტყვებისგან „მართლის სჯა“ და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოსთან იწვევს ასოციაციას, გაცილებით ფართო ცნებაა ვიდრე სასამართლო ხელისუფლების განხორციელება. მართლმსაჯულება, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად ხორციელდებოდა ყოველთვის არ ყოფილა სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სასამართლოს წარმოქმნა უფრო გვიანდელი საზოგადოებრივი პროგრესის ხანას უკავშირდება.

მიუხედავად ამისა იგი როგორც პოზიტიური აზროვნების შედეგი ყოველთვის პოულობდა თავის გამოხატულებას არა სასამართლო ორგანოს, არამედ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ადამიანების სახით.

მართლმსაჯულება წარმოიშვა, როგორც უფლების დაცვის მექანიზმი.

პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული ადამიანის უფლება ხელყოფის საფრთხის ქვეშ იდგა სხვა ადამიანების, მოგვიანებით კი სახელწიფოს მხრიდან.

ეს პროცესი თანმიმდევრულად გრძელდება და გაგრძელდება მომავალშიც, ვიდრე იარსებებს კაცობრიობა. ადამიანის არსებობა უფლების გარეშე წარმოუდგენელია, რადგან სწორედ უფლებაა ის ელემენტი, რომლის მეშვეობითაც იგი ახდენს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას [1, გვ. 9].

ადამიანთა ინტერესები ხშირად უპირისპირდება ერთმანეთს, ასეთი დაპირისპირება უფლებრივ კონფლიქტს წარმოშობს. როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს სამართლებრივი სისტემა და სახელმწიფოებრივი განვითარების დონე, ის მაინც ვერ შეძლებს მთელი საზოგადოების ინტერესების თანხვედრას. სრულყოფილი სამართლებრივი სისტემა არ არსებობს. კანონი ვერ აიძულებს ადამიანს იყოს კანონმორჩილი. ამიტომ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი არსებობენ სამართალდამრღვევები.

ქრისტიანული სწავლების მიხედვით პიროვნება, რომელიც არ ცხოვრობს ღვთიური კანონებით, ზეციურ ცხოვრებას ვერ ეღირსება. მაგრამ იმის რწმენა, რომ დამნაშავე მხოლოდ ღვთიური კანონით აგებს პასუხს, ვერ დააკმაყოფილებს მზარდ საზოგადოებას და უსამართლობაც დაუსჯელობის სინდრომით მოიკიდებს ფეხს კაცობრიობაში.

როგორც გამოჩენილი გერმანელი იურისტი რუდოლფ ფონ იერინგი აღნიშნავს უფლებისათვის ბრძოლაა საჭირო. ის, ვინც არ იბრძვის უფლებისთვის ანტიპატიას იწვევს. ასეთი ადამიანი არც არის ღირსი უფლებისა [2, გვ. 18-19].

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ემანუელ კანტი აღნიშნავს „ვინც თავს მატლად ხდის იმას საყვედურის უფლება არა აქვს ვინცობაა თუ მას ფეხით სრესას დაუწყებენო“.

პროფესორი ბესარიონ ზოიძე კიდევ უფრო შორს მიდის მსჯელობაში და აღნიშნავს რომ უფლებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილი. ვინც უფლებისათვის იბრძვის ის კიდევ იტანჯება და ამ ტანჯვაშია სიცოცხლის არსებობა [2, გვ. 3].

ბრძოლით მოიპოვებ შენ უფლებას შენსაო, იუწყება ძველი ქართული სიბრძნე.

სწორედ ამ მნიშვნელოვანმა გარემოებამ განაპირობა უფლების დამცავი მექანიზმის შექმნის აუცილებლობა, რომელიც სამართლიანობის ზეობის განცდას დაუბრუნებდა დაზარალებულს და დასჯიდა დამნაშავეს სათანადო სიმკაცრით. ერთი სიტყვით, უნდა

შექმნილიყო ორგანო, რომელიც ითავებდა საზოგადოებაში წარმოქმნილი მრავალსახოვანი დავებისა და შელახული უფლებების აღდგენის მოვალეობას.

პირველყოფილი ადამიანიდან მოყოლებული, როდესაც სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობდა, თავისთავად არ არსებობდა არც სასამართლო, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანო. ადამიანი, როგორც აზროვნებისა და განსჯის უნარის მატარებელი, მაინც პოულობდა ქაოსის თავიდან ასაცილებლად დავის მოგვარების გზებს. მართლმსაჯულების მიზნიდან გამომდინარე მიუხედავად იმისა, თუ როდის და ვინ ახორციელებდა მართლმსაჯულებას, მას ყოველთვის ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა, რომელიც ღღესაც წითელ ზოლად გასდევს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობას, ეს არის სამართლიანობის აღდგენა.

გიორგი დავითაშვილი რომელსაც სიღრმისეულად აქვს შესწავლილი სასამართლო ორგანიზაცია საქართველოში, აღნიშნავს, რომ მსაჯული, ანუ მოსამართლე ყველა იმ პირის სახელწოდება იყო, რომელიც საქმეს არჩევდა [3, გვ. 24]. სხვადასხვა ხანაში მსაჯულის როლი განსხვავებული კატეგორიის ადამიანებს ჰქონდათ შეთავსებული. მაგრამ მთავარი ამოსავალი პრინციპი, რითაც განისაზღვრებოდა ადამიანის პრიორიტეტი, გაერჩია სხვა ადამიანებს შორის წამოჭრილი დავა, იყო მისი ავტორიტეტი საზოგადოებაში.

უფრო ადრეულ ხანაში ასეთი ავტორიტეტის მატარებლები ძლიერი პიროვნებები უნდა ყოფილიყვნენ. ცნობილია, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანები გონებრივად ნაკლებად იყვნენ განვითარებულნი, იმისათვის, რომ თავი ერჩინათ ფიზიკური ძალა ესაჭიროებოდათ, ყველაზე ძლიერი ხდებოდა ბელადი, წინამძღოლი და შესაბამისად კონფლიქტის გადაჭრის ფუნქციაც მას უნდა ჰქონოდა შეთავსებული.

მოგვიანებით ამგვარი ავტორიტეტი ბრძენ, ჭკვიან კაცებს გააჩნდათ, რომელთაც თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების კვალობაზე შეეძლოთ კონფლიქტი მშვიდობიანად გადაეჭრათ. თუმცა, ზემოთ თქმული, ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს კაცობრიობის დასაბამიდან დავების მოგვარების მშვიდობიანი გზები არსებობდა. კონფლიქტი საზოგადოების წევრებსა და სხვადასხვა ფენებს შორის, რომელთა ინტერესი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვეოდა დაუსრულებლად გრძელდებოდა. უფლებები ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის შედეგად უნდა ყოფილიყო მოპოვებული [2, გვ. 40-41].

თავდაპირველად მსაჯულის როლს თავად უფლებადარღვეული პირი ირგებდა და თავადვე აღასრულებდა მართლმსაჯულებას ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით.

ამის მაგალითია, საქართველოში ჯერ კიდევ გვაროვნული საზოგადოების ხანაში მოქმედი „ტალიონის“ პრინციპი, რომელიც თავისი არსით შურისძიებას წარმოადგენდა „სისხლი სისხლის წილ, კბილი კბილისა წილ“ და გულისხმობდა, რომ დამნაშავეს ზუსტად ისევე უნდა მიზღობოდა, რა ზიანიც თავად მიაყენა მსხვერპლს და იმ შემთხვევაში თუ კი მსხვერპლი ცოცხალი აღარ იყო, მის ნაცვლად შურს მისი ნათესავები იძიებდნენ. შემდგომში აღნიშნული წესი „კომპოზიციის“ პრინციპმა შეცალა, რომელიც დანაშაულისათვის საზღაურს გულისხმობდა.

ბუნებრივია თანამედროვე ცივილიზირებული საზოგადოებისათვის ამგვარი მიდგომა სრულიად მიუღებელია.

რა ფორმითაც არ უნდა იყოს ხელყოფილი უფლება, პიროვნებას არ შეუძლია თავად განახორციელოს მართლმსაჯულება და თავადვე შეუდგეს უფლების აღდგენას ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით.

საზოგადოების განვითარების ეტაპების მიხედვით მსაჯულის ფუნქციას სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები ითავსებდნენ. მართლმსაჯულების განვითარება ყველა ქვეყანაში განსხვავებულად მიმდინარეობდა.

თანამედროვე საქართველოში მართლმსაჯულების ერთადერთი განმახორციელებელი ორგანო სასამართლოა, რომელიც აგებულია მსოფლიოში აპრობირებული სასამართლო სისტემის და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საფუძველზე. სასამართლო ხელისუფლების

უფლებამოსილებებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონები, საერთო სასამართლოების, უზენაესი სასამართლოს და კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. საერთო სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეებს.

მართლმსაჯულებამ განვითარების საქმოდ ხანგრძლივი გზა განვლო, სანამ მიაღწევდა იმ ფორმას რა ფორმითაც დღეს მსოფლიოში გვეკლინება დემოკრატიის დონის ამსახველ კრიტერიუმად. ბუნებრივია საქართველოში იმ მსაჯულებთან თანაფარდობით, რომლებიც საუკუნეების წინ არსებობდნენ ბევრი რამ არის შეცვლილი ფუძისეულად. მიუხედავად იმისა, თუ ვინ ახორციელებდა მართლმსაჯულებას მას ყველა დროში ერთი მიზანი ამოძრავებდა – აღედგინა სამართლიანობა. სამართლიანობის იდეა შოთა რუსთაველს თავის გენიალურ პოემაში ვეფხვის ტყაოსანში აქვს გატარებული: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნელდად“. სამართლიანობა ყველა ადამიანს ერთმნიშვნელოვნად არ ესმის.

მაგალითად, ის რაც ერთისთვის სამართლიანია, სხვისთვის შესაძლოა უსამართლოდ აღიქმებოდეს. თუმცა მნიშვნელოვანია სამართლიანობის ზოგადსაკაცობრიო გაგება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება ადამიანების ზოგად წარმოდგენებს სიკეთესა და ბოროტებაზე.

ამდენად ისინი აზრობრივ დონეზე თანხმდებიან თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად და რა უსამართლოდ. მეცნიერებათა დოქტორი ბიძინა სავანელი მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების მთავარი ფუნქცია არ არის ჭეშმარიტების დადგენა, მთავარი სტაბილურობა და წონასწორობაა, ჭეშმარიტება კი ერთ-ერთი საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად, რადგან სასამართლომ უნდა დაადგინოს ჭეშმარიტება მხოლოდ იმ ფარგლებში, როგორც ამას მოდავე მხარეები მოითხოვენ [4, გვ. 47].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კიდევ ხანგრძლივი გზა აქვს გასავლელი მართლმსაჯულების განვითარების კუთხით, ერთი რამ მაინც ყოველთვის უცვლელი რჩება, უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც წყვეტს სხვა ადამიანების ბედს, პროფესიონალიზმის პარალელურად უპირველესყოვლისა უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი თვისებებისა და მყარი მორალური დანაწესების მატარებელი.

ლიტერატურა

1. **სავანელი ბ.** ადამიანის უფლებები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2001.
2. **იერინგი რ.** ბრძოლა უფლებისათვის. თბილისი: გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2000.
3. **დავითაშვილი გ.** სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
4. **სავანელი ბ.** სამართლის თეორია. თბილისი: გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურა“, 1997.

Марина Анатольевна Корж (Ирпень, Украина)

старший преподаватель кафедры экономической теории
Национального университета Государственной налоговой службы Украины

РЕГУЛИРОВАНИЕ ПРЯМЫХ ИНОСТРАННЫХ ИНВЕСТИЦИЙ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ

На современном этапе социально-экономического развития процесс прямого иностранного инвестирования играет ключевую роль в системе мирохозяйственных связей и поэтому должен быть регулируемым на национальном, международном и наднациональном уровнях. Регулирование прямых иностранных инвестиций (ПИИ) может осуществляться с помощью совокупности специальных правовых, административных, экономических и социально-психологических методов, а также некоторых инструментов стимулирования и ограничения.

Многостороннее регулирование международных инвестиционных процессов, связанных с иностранным прямым инвестированием, получило закрепление во многих документах ООН и других международных организаций. Кроме того, важнейшим источником системы регулирования международных инвестиционных процессов, являются договоры и международные инвестиционные соглашения (МИС), соглашения об избежании двойного налогообложения. Ими охватывается около 87% мировых ПИИ. Существуют следующие правила МИС: 1) МИС могут содержать непредсказуемые риски и поэтому в действие должны быть введены гарантии; 2) МИС имеют ограничения как инструмент привлечения инвестиций, однако их потенциал используется не в полной мере; 3) МИС обуславливают широкие последствия для политики и системной согласованности, а также для наращивания потенциала развития [1].

В отчете ЮНКТАД [1] представлены способы решения стандартных составляющих, присущих МИС. Некоторые из этих вариантов реформ могут быть объединены и отдельно разработаны для достижения ряда целей реформ:

1. Обеспечение регулятивного права. Варианты включают действия, которые направлены на уточнение или ограничение таких положений, как помощь странам, пользующихся статусом наибольшего благоприятствования, справедливое и равноправное оказания помощи и косвенная экспроприация, с учетом исключений, например, для государственной политики или сферы национальной безопасности.

2. Реформирование процесса урегулирования инвестиционных споров. Варианты охватывают реформирование действующего арбитражного механизма урегулирования споров между инвесторами и государством, сохраняя при этом свою основную структуру; замену существующей системы урегулирования споров между инвесторами и государством.

3. Стимулирование и упрощение инвестирования. Варианты предусматривают дополнительные внутренние и внешние мероприятия, направленные на стимулирование инвестиций, а также общие и региональные мероприятия с целью стимулирования инвестиций.

4. Обеспечение надежных инвестиций. Варианты включают внесение дополнительных пунктов, не уменьшая при этом количество стандартных пунктов и установление положений об ответственности инвесторов, таких как положение по соблюдению законов и корпоративной социальной ответственности.

5. Повышение системной согласованности режима МИС. Варианты охватывают консолидацию и рационализацию системы таких соглашений, управление взаимодействием между действующими соглашениями и другими источниками международного права [1].

Важную роль в регулировании процесса международной инвестиционной деятельности играют ряд международных организаций, которые успешно функционируют в течение длительного времени. Одной из таких является Организация экономического сотрудничества и развития (ОЭСР).

Условно инструменты, с помощью которых ОЭСР способствует регулированию потоков ПИИ во всем мире можно разделить на две группы: первая касается законодательной сферы, вторая больше относится к оказанию информационной поддержки и консультаций для правительств стран при разработке и совершенствовании ими собственной политики регулирования ПИИ [2].

После подписания Лиссабонского договора (2007 г.) вступило в силу положение об исключительной компетенции ЕС по вопросам ПИИ. На практике это означает существенные изменения правового, институционального, организационно-экономического характера не только в отношениях между странами-членами ЕС, но и формирование и реализацию механизмов международной инвестиционной политики в отношениях с третьими странами, в том числе, в рамках региональных торговых соглашений [3, с. 54-55].

Подытоживая вышеизложенное, необходимо отметить, что на сегодняшний день существует острая необходимость в системной реформе мирового режима МИС с целью обеспечения их соответствующей отдачи для всех заинтересованных сторон. Реформа этих соглашений должна выполнить пять основных задач [1]: 1) обеспечение права регулирования общественных интересов с тем, чтобы гарантировать, что ограничения МИС, наложенные на суверенитет государств, чрезмерно не ограничивают процесс разработки государственной политики; 2) реформирование процесса урегулирования инвестиционных споров для преодоления кризиса легитимности нынешней системы; 3) стимулирование и упрощение инвестирования путем эффективного расширения этого аспекта в МИС; 4) обеспечение надежных иностранных инвестиций с целью максимизации их положительного влияния и минимизации их потенциальных негативных последствий; 5) повышение системной согласованности режима МИС с целью устранения противоречий и дублирования действующей системы, а также обеспечения согласованности в рамках инвестиционных отношений.

Важной тенденцией в области современного подхода к регулированию иностранных инвестиций является усиление аргументов в пользу регламентации таких инвестиций на многостороннем уровне. Необходимо применять многостороннее универсальное регулирование международных инвестиционных отношений, что позволит установить международно-правовой режим иностранных инвестиций и будет способствовать социально-экономическому развитию стран.

ЛИТЕРАТУРА

1. **World Investment Report 2015** / UNCTAD [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2015_en.pdf.

2. **Венедиктова К.Л.** Регулирование прямых иностранных инвестиций в рамках ОЭСР [Электронный ресурс]. – Режим доступа <http://www.econorus.org/consp/files/8fw6.doc>.

3. **Дзяд О.В.** Інвестиційна політика ЄС після підписання Лісабонського договору / О.В. Дзяд, А.С. Кручек // Науковий вісник Херсонського державного університету. – 2014. – Випуск 5. Частина 1. – С. 54-57.

მეღა შენგელია (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერიის ფაკულტეტის დოქტორანტი

სარეკლამო მარკეტინგი და მისი მკონომიკური ფაქტორები

ზოგადად რეკლამა თანამედროვე კულტურის არსებითი შემადგენელი ნაწილია. იგი არა მხოლოდ ბიზნესის მნიშვნელოვანი იარაღია, არამედ კომუნიკაციის რელევანტური საშუალება. თუმცა, ზოგჯერ რეკლამა იმ პროდუქტებზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში გამოიყენება, არ არის ეფექტური; ზოგიერთი სარეკლამო სლოგანი კარგად ვერ მუშაობს. აქედან გამომდინარე, წარმატებული რეკლამის შესაქმნელად მნიშვნელოვანია ქვეყანაში კარგი ინტელექტუალური კაპიტალის არსებობა.

იმისათვის რომ ბაზარზე სუბიექტმა პროდუქტი შეიტანოს და სწორი ადგილი მოიპოვოს (კონკურენტები, ფასები, რეგიონი და ა.შ.) ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა რეკლამაა. რეკლამა შეიძლება იყოს გაცნობითი (როდესაც ახალი პროდუქცია შედის ბაზარზე), შემახსენებელი (როდესაც ეს პროდუქტი უკვე ბრუნავს ბაზარზე და ახსენებს მომხმარებელს მის შესახებ, ერთგვარი რეკლამაა) და ინფორმაციული ხასიათის (რა სიახლეები განიცადა, და ა.შ.).

ბიზნესში რეკლამის წარმოშობას რთული ისტორიული საფუძვლები აქვს. იგი, უდავოდ, დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან, რამაც თავისთავად შექმნა პროდუქციის ნამატის მიღების შესაძლებლობა. რეკლამას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს ძველ საბერძნეთსა და რომში. ამ მიზნით იყებებდნენ ხის დაფებს, სპილოს ძვალსა თუ სპილენძს. საზოგადოებრივი პროგრესი მოითხოვდა რეკლამის ფორმების სრულყოფას, ამიტომ იყო, რომ 1473 წელს ინგლისში გამოჩნდა პირველი ბეჭდური სარეკლამო განცხადება, ხოლო XVI საუკუნის დასაწყისში ვენეციელმა გამომცემელმა ა. მანუციმ მომხმარებლის მიზიდვის მიზნით დაიწყო თავისი მაღაზიის წინ წიგნების დასათაურების გამოფენა. ამდენად მყიდველი კარებშივე ეცნობოდა წიგნების სარგებლობას. უკვე 1611 წელს ლონდონში შეიქმნა ა. გორაჟისა და უ. კოპის პირველი სარეკლამო ბიურო [1, გვ. 407].

დღეს მეცნიერება რეკლამის შესახებ მიჩნეულია ბიზნესის უმნიშვნელოვანეს სფეროდ. რეკლამა ჩამოყალიბდა როგორც მარკეტინგის ორგანიზაციულ-მწარმოებლური კომპონენტი, რომლის წარმადობაც განსაზღვრავს მიღწევას თუ წარუმატებლობას მარკეტინგის სტრატეგიის სფეროში [1, გვ. 408].

მარკეტინგის თეორიული ბაზის შემქმნელის, ცნობილი ამერიკელი მეცნიერის კოტლერის მიხედვით: რეკლამა-მომსახურების, ნაწარმის ან იდეის შესახებ ინფორმაციის არაპერსონალური გზით მიწოდება ხდება მედიის სხვადასხვა საშუალებით, რაც ფასიანია და ჰყავს ფასიანი სპონსორი [2, გვ. 339]. თანამედროვე სარეკლამო საქმიანობაში რეკლამის სახეები და საშუალებები შემდგენიერად კლასიფიცირდება: 1. პირდაპირი რეკლამა; 2. რეკლამა პრესაში; 3. ბეჭდვითი რეკლამა; 4. რადიო და საეკრანო რეკლამა; 5. გარე რეკლამა; 6. რეკლამა ტრანსპორტზე; 7. რეკლამა გაყიდვების ადგილებზე; 8. სარეკლამო სუვენირები. [3, გვ. 351].

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, რეკლამის გავრცელებისთვის გამოყენებული ძირითადი არხებია: ტელევიზია, გაზეთები, ჟურნალები, რადიო, ფოსტა, გარე რეკლამის საშუალებები, ინტერნეტი. ყოველ არხს აქვს თავისი უპირატესობები და გარკვეული შეზღუდვებიც. ამიტომ, რეკლამის გასავრცელებლად აუცილებელია მათი სწორად შერჩევა [4].

თუმცა ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელებისას აუცილებელია ბიზნესმა დაიცვას რეკლამის დაგეგმვისას სოციალური ინეტერები, წინა პლანზე დააყენოს რეკლამის

სოციალური პასუხისმგებლობა. ეს საკითხი მთელს მსოფლიოში, მით უმეტეს საქართველოში, ძალიან დიდ პრობლემად რჩება. თუმცა თუ ისევ დასავლეთს მივუბრუნდებით, სულაც არ არის აუცილებელი ამგვარი პროექტების ინიციატორებად მხოლოდ მსხვილი კომპანიები და წარმატებული ბიზნესმენები გამოვიდნენ. დღეს სოციალური პასუხისმგებლობა ხშირად თავისებურ ბიზნესად და ფულის გაკეთების საშუალებადაც კი იქცა. იგი მარკეტინგის და ბაზარზე პოზიციების თავისებური ტექნოლოგიაცაა, რადგან, მართალია, სოციალურ პროექტებში ჩართვით, ბიზნესმენი ამცირებს მიმდინარე შემოსავალს, მოგებას, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ქმნის კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას და თავადაც იქმნის მყარ რეპუტაციასა და იმიჯს, დამაჯერებელ რეკლამას და იღებს დივიდენდებს ამ საქმიანობიდან.

რეკლამა მაშინ აღწევს საკუთარ მიზანს, როცა საქონლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფსიქოლოგიურ ძალდატანებით ელემენტს არ შეიცავს. ე.ი. აღქმა ნებაყოფლობითია. რეკლამა ყოველთვის ობიექტური უნდა იყოს და ეყრდნობოდეს მეცნიერულად შემოწმებულ, ფაქტიურ მასალებსა და მონაცემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს მწარმოებელს [3, გვ. 346]

ეფექტური რეკლამის შექმნის პროცესში უდიდესი როლი ფსიქოლოგებს, კერძოდ კი რეკლამის ფსიქოლოგებს და მარკეტოლოგებს აკისრიათ. კარგი რეკლამის შესაქმნელად მნიშვნელოვანია ვერკვეოდეთ აღქმის თავისებურებებში. ამას კი ფსიქოლოგებზე უკეთ ნამდვილად ვერავინ გააკეთებს [5]. სწორედ ამიტომ ამ პროფესიის წარმომადგენლები არიან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი რეკლამის და საბოლოო პროდუქტის წარმატებისა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მარკეტინგული “ზრიკები” და თითოეულ რეკლამასთან შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოვლენა. მაგალითისათვის შეგვიძლია ავიღოთ ერთ-ერთი ბანკის სანტას საახალწლო რეკლამა, რომელიც საზოგადოებისათვის ყოველ წელს სერიული სიახლეითაა ცნობილი. პირველ წელს სანტა შეყვარებულია სნეგურაჩკაზე, მეორე წელს სასიყვარულო ისტორია მთავრდება მათი დაშორებით და ასე ყოველ წლიურად რეკლამაში არსებული ისტორია სხვადასხვა სიჯეტური ხაზით ვითარდება.

მიგვაჩნია, რომ ასეთი რეკლამა კომპანიის ბიზნესის განვითარებისათვის მეტად ეფექტურია. შემოქმედებითმა რეკლამამ შეიძლება დააინტერესოს მაყურებელთა საკმაოდ ფართო აუდიტორია.

გარდა იმისა, რომ რეკლამა თავისი სიუჯეტური განვითარებით ძალიან საინტერესოა მაყურებლისათვის, ასეთი რეკლამა ყოველთვის შეიცავს მარკეტინგულ ზრიკს და ყოველთვის ეუბნება მაყურებელს ინფორმაციას კომპანიის მომსახურების ან პროდუქტის შესახებ, რომელიც ქვეცნობიერში რჩება საზოგადოების წევრებს და რეკლამის მიზანი საბოლოო ჯამში სრულდება, კერძოდ: მომხმარებელი აკეთებს კონკრეტული მომსახურების ან პროდუქტის შეძენის არჩევანს.

გამომდინარე აქედან, ქვეყანაში ძლიერი მარკეტოლოგების არსებობა დასაფასებელია და ქვეყნის ინტელექტუალური კაპიტალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შეიქმნას კეთილსინდისიერი რეკლამა, რადგან იგი კეთილსინდისიერი კონკურენციის საფუძველია. ერთი კომპანიის რეკლამა არ უნდა იყოს მისი კონკურენტი კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი. რეკლამა არ უნდა აცნობდეს საზოგადოებას, რომ რომელიმე კომპანიის პროდუქტი ან მომსახურებას მის პროდუქტს ან მომსახურებას სჯობია. სამწუხაროდ ხშირია ასეთი პრაქტიკა და აღნიშნული არაჯანსაღ კონკურენციას აღრმავებს ქვეყანაში. გარდა ამისა საქართველოში არ არის ორგანო რომელიც შეძლებს გააკონტროლოს ასეთი რეკლამები და დაადგინოს კომპანიის არაკეთილსინდისიერება. ერთადერთი გზა რაც რჩება დაზარალებულ კომპანიას, ეს არის სასამართლო, რომელიც მინიმუმ ერთ წელიწადში სამივე ინსტანციის ფარგლებში თუ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ხოლო ამ ხნის მანძილზე შეიძლება რეკალა იმდენად

ფართო მასშტაბის გახდეს ცნობილი, რომ აუნაზღაურებელი ზაიანი მიაღვეს რომელიმე კომპანიას.

იმისათვის რათა ასეთი შემთხვევები აღმოიფხვრას კარგი იქნება შეიქმნას ორგანო, სადაც დასაქმდებიან შესაბამისი სპეციალისტები, რომელთა ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით დადგინდებოდა რეკლამის კეთილსინდისიერების საკითხი და რაც მთავარია ეს უნდა განხორციელდეს რეკლამის გავრცელებამდე. აღნიშნული კი წარმოადგენს პრევენციას არაკეთილსინდისიერი რეკლამის გავრცელებისა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

ლიტერატურა

1. **თეიმურაზ შენგელია.** ბიზნესის ადმინისტრირების საფუძველები. <http://www.bpa.ge/book/book95.pdf>
2. **გარი ამსტრონგი, ფილიპ კოტლერი.** მარკეტინგის საფუძვლები. მეშვიდე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა “ბაკურ სულაკაური” 2008.
3. **მაია სუთიძე.** რეკლამის გავრცელების არხების შერჩევის სპეციფიკა. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, №3, 2014.
4. **გელა მამულაძე.** მარკეტინგის საფუძვლები. ბათუმი: გამომცემლობა “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, 2011.
5. **ჯორჯ I ბელჩი, მაიკლ ებელჩი.** რეკლამა და პრომოცია. თბილისი: გამომცემლობა ”დიოგენე”, 2013.

Юрий Александрович Гиренко (Киев, Украина)

аспирант, ННЦ “Институт аграрной экономики”

К ВОПРОСУ О ПРОИЗВОДСТВЕ ХМЕЛЯ В УКРАИНЕ

Отрасль хмелеводства в Украине является неотделимой составляющей национального сельскохозяйственного производства. И в случае своего успешного развития, безусловно, положительно влияет на общенациональные экономические показатели в целом. Ведь хмель как основной продукт отрасли, является незаменимым компонентом в медицине, ветеринарии, пищевой промышленности, не говоря уже об использовании этого растения в пивной индустрии. Так, по оценкам некоторых специалистов, ежегодная потребность украинских пивоваров в хмелеводческом сырье, в частности в альфа-кислотах находится на уровне не меньше 150 т. Около 25 % от всей общей потребности покрывается за счет украинского хмеля, а 75% - за счет хмеля иностранного происхождения [1]. Такая ситуация, когда зарубежная хмелеводческая продукция вытесняет с рынка отечественную, является одной из основных причин, которая заставляет украинского национального производителя сокращать собственные объемы производства хмеля. Только за один короткий период времени с 2010 по 2013 годы, общие площади под хмелем сократились более чем в 2 раза с 888,4 га в 2010 г до 407,9 га в 2013 году. Общий валовый сбор, за этот же период тоже уменьшился с 780 до 451,7 т [2]. Для того, чтобы исправить сложную экономическую ситуацию ученые советуют руководителям отечественных хмелеводческих хозяйств принять соответствующие меры по снижению уровня и повышению урожайности [3]. Еще одной предпосылкой к позитивным изменениям в украинском хмелярстве, по нашему мнению, должна стать модернизация существующих предприятий с учетом инновационных разработок. Ведь, по мнению специалистов, своевременное обновление машин и усовершенствование существующих механических средств во время эксплуатации дает возможность выполнять необходимые работы по выращиванию хмеля на достаточном техническом уровне. Одним из последствий таких действий будет общее повышение производительности труда. В свою очередь, это положительно повлияет и на основные показатели экономической эффективности производства хмеля [4]. Однако, на сегодняшний день, большая часть хмелеводческих хозяйств в Украине, не может улучшить основные качественные показатели своего производства за счет имеющийся в их распоряжении соответствующей техники. Об этом говорят результаты исследований отдельных ученых. Так, согласно их заключению, в большинстве хмелеводческих хозяйств, значительное число орудий труда и технических механизмов давно уже физически и морально устарели. Государственная же поддержка в этом вопросе, на уровне предприятий, остается почти незаметной [5].

